ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთევან გოცირიძე

სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი,
კულტურის კვლევების ინსტიტუტი

თბილისი 2017

ანოტაცია

სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნაშრომის მიზანია 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერის მნიშვნელობის დადგენა და პასუხის გაცემა კითხვაზე თუ რა სახით ჩამოყალიბდა იმ პერიოდის ქართული ნაციონალიზმი.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ჰიპოთეზა - 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერებს, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების მომხდენ ძირითად ძალას, ერი ესმით, როგორც სამოქალაქო ერთობა და იმ პერიოდის ნაციონალიზმი ვითარდება სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით, რომლის პრინციპების დაცვასაც და საზოგადოებაში გავრცელებასაც ცდილობენ იმ დროის პოლიტიკური ელიტის წევრები.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად ნაშრომში განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდი, პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების მიერ გატარებული პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების მიმართ და დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც იწვევდნენ სიტუაციის არევასა და დაძაბვას.

თეორიულ ჩარჩოდ აღებულია მოდერნიზმი და მისი მიმართულება - პოლიტიკური ტრანსფორმაცია. რომლიდანაც გამოყოფილია ამ მიმართულების ერთ-ერთი ავტორი ჯონ ბროილი, რომელიც ნაციონალიზმს განიხილავს, როგორც პოლიტიკის ფორმას. ნაციონალიზმი წარმოადგენს ორი მიმართულების ერთიანობას - ერი როგორც პოლიტიკური ერთობა და ერი როგორც კულტურული ერთობა.

თემის აქტუალობიდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება მკითხველისათვის და დაეხმარება ამ თემით დაინტერესებულ პირებს დააკვირდნენ იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში და წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს.

Summary

The attempt to form civic nationalism in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921

Gotsiridze K.

The purpose of this paper is to determine the significance of the nation in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 and to answer the question of how of this period the Georgian nationalism was formed.

In the research process was reveald a hypothesis – political leaders of 1918-1921 Democratic Republic of Georgia, as the pressures on society minds, nation understood as a civil union and this period nationalism is forming as a civil nationalism and its principles are defence and spread of in society by the elites.

In order to check the hypothesis, the paper discusses the period of formation Georgia's democratic Republic, the policies pursued by political parties and their leaders, the steps taken against the government of the Democratic Republic of Georgia that caused tension the situation.

The theoretical framework is based on modernism and one of its direction – political transpormation. One author of this direction is John Bryly, who considering nationalism as a form of politics. Nationalism is the unity of the two directions – the nation, as a political unity and the nation, as a cultural unity.

Due to the actuality and importance of this issue, we hope that the paper will be interesting for readers and will help them to monitor the processes which were taken place in Democratic Republic of Georgia in 1918-1921 and is a very important part of our country's history.

სარჩევი

შესავალი 6

1. თეორიული ნაწილი 12

1.1 თეორიული ჩარჩო 12

1.2 ცვლადების განმარტება 14

1.3 ისტორიული მიმოხილვა 17

1.4 ლიტერატურის მიმოხილვა 18

2.ქართული პოლიტიკური აზროვნება - ავტონომიიდან - დამოუკიდებელ სახელმწიფომდე 27

2.1 ნაციონალიზმი 1860-იან წლებში - გამოძახილი მე-20 საუკუნის დასაწყისში 27

2.2 საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო და უმცირესობებისადმი განხორციელებული პოლიტიკა 32

2.3 წინააღმდეგობები და განსხვავებები 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს შორის 40

2.4 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების პოლიტიკური პორტრეტები 44

3. ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, დემოკრატია და ეთნიკური უმცირესობების დაცვა 54

3.1 დემოკრატიის საკითხი და სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება 55

4. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სამართლებრივი დებულებები და კონსტიტუცია 58

4.1 საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 58

4.2 სამართლებრივი აქტები 60

4.3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 62

5. დასკვნა 64

გამოყენებული ლიტერატურა: 66

დანართი 69

შესავალი

ნაციონალიზმის წარმოშობა და განვითარება, მნიშვნელოვანი, კვლევისთვის საინტერესო პროცესია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნაციონალიზმი საკუთარი მრავალგვარი ფორმიდან გამომდინარე ხშირად შეიძლება იქცეს კონფლიქტის წყაროდ, მაგალითად თუ საქმე ეხება ისეთ ნაციონალიზმს, რომელიც ეთნიკურია თავისი ხასიათით და შესაბამისად ეწინააღმდეგება კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უმცირესობების ინტერესებს. ნაციონალიზმი ეპოქის შესაბამისი რეალობიდან გამომდინარე იცვლება. საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის ნაციონალიზმი ისტორიის სხვადასხვა დროს იყო გამაერთიანებელი, განმათავისუფლებელი, სამოქალაქო ნაციონალიზმი ან იღებდა ეთნიკური ნაციონალიზმის სახეს და ასეთად ვითარდებოდა.

საქართველოში სამოქალაქო ნაციონალიზმის ერთ-ერთ კარგ მაგალითად, შეიძლება მივიჩნიოთ პერიოდი, როდესაც შეიქმნა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა - 1918-1921 წლები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეკუთვნის ისტორიის იმ მნიშვნელოვან მონაკვეთს, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს ახლო წარსულზე - 1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობა ემყარება 1918-1921 წლების კონსტიტუციას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს არის წარსული - რომელთანაც სასურველია გავავლოთ პარალელები, რათა უკეთ შევძლოთ ჩამოვაყალიბოთ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ამოსავალია სამოქალაქო ნაციონალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნისა და მომავალი განვითარებისთვის. 1918-1921 წლების ქართული ნაციონალიზმი ხასიათდება ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე სხვადასხვა საკითხებით, მაგალითად როგორიცაა საგარეო ორიენტაციის საკითხი, ვექტორები - დასავლეთი/აღმოსავლეთი. ერთი მხრივ, ეროვნულ-დემოკრატები რომლებიც იბრძოდნენ - რუსული პოლიტიკური ორიენტაციის წინააღმდეგ , იყვნენ რა პროდასავლური კურსის მომხრეები და მეორე მხრივ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც პრორუსულ ძალად შეიძლება მოვიხსენიოთ. თუმცა მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატების მიერ და მათი გამორჩეული ლიდერის - კარლო ჩხეიძის

მიერ მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. ძირითად პოლიტიკურ ელიტას მაინც ისინი ქმნიდნენ. საინტერესოა მათი მოლოდინები რუსეთისადმი - ერთი მხრივ, ელოდნენ რა რუსეთში დემოკრატიული ძალების მოსვლას სათავეში, 1918 წლის იანვარში რუსეთში არსებულმა დემოკრატიულმა ძალებმა დიდი დარტყმა განიცადეს. აღნიშნული რეალობიდან გამოსავალი - ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც გახდა წინაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა.

საკვლევი კითხვები - როგორ ესმით ამ პერიოდის პოლიტიკურ ლიდერებს და საზოგადოებას ერის მნიშვნელობა? საინტერესოა როგორ მიდის დინამიკაში მსჯელობა - რა იკვეთება და რა მიმართულებით ვითარდება იმ პერიოდის ნაციონალიზმი - იღებს სამოქალაქო ნაციონალიზმის სახეს და ასეთად ყალიბდება თუ არა?

ჰიპოთეზა - 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერებს, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების მომხდენ ძირითად ძალას, ერი ესმით, როგორც სამოქალაქო ერთობა და იმ პერიოდის ნაციონალიზმი ვითარდება სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით, რომლის პრინციპების დაცვასაც და საზოგადოებაში გავრცელებასაც ცდილობდნენ იმ დროის პოლიტიკური ელიტის წევრები.

მიზანი - კვლევის განმავლობაში ჩვენთვის საინტერესოა გამოვკვეთოთ ნაციონალიზმის ის მიმართულება, რის მიხედვითაც ჩამოყალიბდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. საზოგადოებას როგორ ესმის ერი? რას წარმოადგენს მათთვის ერის მნიშვნელობა. ნაშრომის განმავლობაში ჩვენი მთავარი მიზანია, ვაჩვენოთ მკითხველს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ნაციონალიზმის სახე და დასმულ საკვლევ კითხვებს გავცეთ პასუხი, ასევე ვაჩვენოთ სახელმწიფო მმართველობის მაშინდელი ფორმა, მთელი რიგი პოლიტიკური ნაბიჯების შედეგად როგორ უახლოვდებოდა სამოქალაქო ნაციონალიზმს. პოლიტიკურ ნაბიჯებში ვგულისხმობთ მმართველი გუნდის მიერ გატარებულ პოლიტიკას, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე ეთნიკური უმრავლესობის მიმართ.

სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მხოლოდ 3 წელი არსებობდა, იმ პერიოდში განვითარებული ნაციონალიზმი არაა ისე ძლიერი, რომ შეძლოს სრულად საზოგადოების მობილიზება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს, აქტიურად მიმდინარეობდა საზოგადოებაში ქართველი ერის, როგორც ერთი მთლიანის აქტიური წარმოჩენა და ყველა ფენაში იმის პოპულარიზაცია, რომ გურიაში მაცხოვრებელი ქართველიც და კახეთში მაცხოვრებელი ქართველიც ერთი ერის ნაწილი არიან, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ 1918-წლამდე და მის მერეც ნაციონალიზმი, როგორც ერის გამაერთიანებელი იდეოლოგია სუსტადაა განვითარებული ამ დროისათვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ ნაციონალიზმის, როგორც იდეის, ერთ-ერთ მთავარ მიზანს, წარმოადგენს ერის დამოუკიდებლობა, ჩვენს შემთხვევაში კარგად ჩანს, რომ ჯერ კიდევ 1917 წლისთვის ერის დამოუკიდებლობის სურვილი არ იყო ყველა პოლიტიკურ ძალაში გამჯდარი. აი რას წერდა ნოე ჟორდანია: „მე-19 საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების მუდმივი, შეუჩერებელი წინმსვლელობისა და კულტურული ამაღლების. და ყოველივე ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული უნიადაგობა ჩვენში“ (ჯონსი, 2007,12). მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია, ჩვენი აზრით, არის სამოქალაქო ნაციონალიზმის ძალიან მკაფიო მაგალითი, ფაქტია, რომ ვერ მოხდა ამ კონსტიტუციის საფუძველზე სახელმწიფოს მმართველობის განხორციელება, საქართველოს გასაბჭოების გამო. მაგრამ მთავარი არის ის, რომ იმ პერიოდის საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ქვეყნის სათავეში იდგა, მოახერხა და შექმნა კონსტიტუცია, რომელიც სწორედაც რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის ისეთ პრინციპებს ნერგავდა, როგორიც იყო უმცირესობების უფლებების დაცვა, განურჩევლად ეროვნებისა, ეთნიკური ნიშნით მიკუთვნებულობისა თუ რელიგიური შეხედულებებისა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და სხვა. ამ ყველაფერზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნე, იმ კონსტიტუციამ, რომელიც მიიღეს 1921 წლის 21 თებერვალს მნიშვნელოვანი საკითხები გამოიტანა წინა პლანზე, რომლის ქვეყნის

პოლიტიკაში გატარებასაც ხელი შეუშალა 1921 წლის 25-მა თებერვალმა, საქართველო გასაბჭოვდა, მაგრამ სწორედ ამ კონსტიტუციის საფუძველზე გამოცხადდა 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ძირითადი იდეები, რომლებიც მიუთითებს სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შემუშავებული იყო იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ, რომლებიც განაპირობებდნენ ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის წარმართვას. არსებობდა წინააღმდეგობები და სამოქალაქო ნაციონალიზმის გატარების პროცესი არ იყო მარტივად განსახორციელებელი. იყო რიგი საკითხები, რომლის გარშემოც ეროვნულ დემოკრატებს, სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს ქონდათ განსხვავებული მოსაზრებები და მათ გარშემო ხშირად ვერ თანხმდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიზანი არაა აღწეროს იმ დროის პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებები და ისაუბროს მათ შორის არსებულ განსხვავებებზე და მთავარი მიზანია გამოვკვეთოთ გზა, რომელიც მიუთითებს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობას, ნაშრომის განმავლობაში წინააღმდეგობებიდან განხილული გვექნება, მაგალითად, ენის გარშემო არსებული განხილვები, რომელიც ეხებოდა, ერთი მხრივ, უმცირესობების ენების წახალისებას და მეორე მხრივ, ქართული ენის, როგორც უმრავლესობის ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. ასევე შევეხებით იმ განსხვავებებს, რომლებიც ერთი მხრივ სოციალ-დემოკრატებსა და მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს აყენებდა სხვადასხვა მხარეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როცა წინა პლანზე გამოდიოდა ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხები, მაგალითად აფხაზების საკითხი და სხვა მსგავსი მოვლენები, ეს პარტიები ახერხებდნენ და საერთო მსჯელობით საქართველოსთვის სწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. შეუძლებელია ყველა წინააღმდეგობისა და დაპირისპირების ჩვენება ჩვენი კვლევის ფარგლებში. მაგრამ, კვლევის ობიექტურობისთვის, ამ საკითხს ასეთუისე შევეხებით, რადგან აუცილებელია პროცესის

როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარის ჩვენება, რათა მკითხველს შეექმნას მეტნაკლებად ამომწურავი შეხედულება საკვლევი პერიოდის გარშემო.

ტერმინების განმარტება

ნაციონალიზმი - ნაციონალიზმი არის მიმდინარე ისტორიული პროცესი, რომელიც მდგომარეობს ეროვნებების პოლიტიკურ ერთობებად გარდაქმნაში და გამოიხატება ეროვნული სახელმწიფოების (ერი-სახელმწიფოების) ჩამოყალიბებაში (დავითაშვილი, 2003, 47).

ეს არის იდეოლოგიური მოძრაობა, განხორციელებული ერის ზოგიერთი წევრის მიერ, რომლებიც მოქმედებენ მთელი ერის სახელით და ცდილობენ შექმნან და დაიცვან ავტონომია, ერთიანობა და იდენტობა, ფაქტობრივი ან პოტენციური ერის ჩამოყალიბების მიზნით (Smith, 1991, 73).

ეთნიკური ნაციონალიზმი - ეთნიკური ნაციონალიზმი თავის ძირითად ღირებულებად აღიარებს ერს, ეთნიკური მნიშვნელობით და მისდამი ერთგულებას და მისი ინტერესებისთვის ბრძოლას მიიჩნევს დომინანტურად სხვა ღირებულებებთან შედარებით. ეთნიკური ნაციონალიზმი ერს განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას (სისხლით ერთობას). ეთნიკური ნაციონალიზმის მიხედვით, ვერავინ გახდება ერის ნაწილი მისთვის დამახასიათებელი კულტურული თვისებების ან ენის შესწავლის გზით. ეთნიკური ნაციონალიზმის მიხედვით, იმისთვის რომ იყო მაგალითად ქართველი ერის ნაწილი, უნდა დაიბადო ქართველად (www.nplg.gov.ge)

სამოქალაქო ნაციონალიზმი - სამოქალაქო ნაციონალიზმის არსებობის პირობებში ნაციის წევრობა იგივეა რაც მოქალაქეობა, იგი პოლიტიკურ და ლეგალურ კატეგორიად მიიჩნევა. ეს მოდელი ხაზს უსვამს საერთო სამოქალაქო კულტურის მნიშვნელობას და კონკრეტულ ტერიტორიაზე მის წევრთა ლეგალურ-პოლიტიკურ თანასწორობას.

სამოქალაქო ნაციონალიზმი გულისხმობს მთელი მოსახლეობის კოლექტიურ თვითგამორკვევას, მიუხედავად ეთნიკურობისა, რელიგიისა და სხვა კულტურულ მახასიათებელთა განსხვავებებულობისა (ნაციონალიზმი ძირითადი ცნებები, 2008, 53).

ელიტა - ელიტა განიხილება ჯგუფის სახით, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავია ქვეყნის ხელმძღვანელობაში. ინდივიდების ერთობლიობას, რომლებიც მოქმედებენ მაღალი მაჩვენებლებით ნებისმიერ სფეროში ელიტა ეწოდება (მ.მაცაბერიძე, 2015, 14, 25).

ერი, ეროვნული იდენტობა - ენტონი სმიტის მიხედვით ეროვნული იდენტობისათვის დამახასიათებელიი ნიშნები არის შემდეგი : ისტორიული ტერიტორია, საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო, გაზიარებული კულტურა, ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრილი უფლებები და მოვალეობები, საერთო ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, სმიტის მიხედვით, ერი, ეს არის ადამიანთა ერთობა, რომლებსაც საერთო აქვთ გაზიარებული ისტორიული ტერიტორია, მითები და ისტორიული მეხსიერება, კულტურა, ეკონომიკა და საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები (Smith, 1991, 14).

<u>კვლევის მეთოდოლოგია</u>

ნაშრომში გამოვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდს. კვლევა ძირითადად ეყრდნობა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე მეცნიერების ნაშრომების ანალიზს, გამოქვეყნებული სტატიებისა და წიგნების მიმოხილვასა და ანალიზს. ასევე გამოვიყენებთ დისკურს-ანალიზს, რაც გულისხმობს სხვადასხვა პოლიტიკური პირების განცხადებების წარმოდგენასა და გაანალიზებას. ეს დაგვეხმარება ავხსნათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული ნაციონალიზმი და შევისწავლოთ მიმდინარე პროცესები. მკითხველს გავაცნობთ ისეთ მოხსენებებს, რომლებშიც განვითარებულია ჩემი ჰიპოთეზის მსგავსი აზრი და შემოთავაზებულია სხვადასხვა ავტორების მიერ საინტერესო ფაქტები და სიტუაციის განსხვავებული ანალიზი.

1. თეორიული ნაწილი

1.1 თეორიული ჩარჩო

თეორია, რომელსაც ვიყენებთ კვლევისას არის ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და მისი მიმართულება - პოლიტიკური ტრანსფორმაცია. მოდერნიზმის ძირითადი არსი არის ის, რომ ერები და ნაციონალიზმი არიან თანამედროვეობის შედეგი და უკანასკნელი ორი საუკუნეა რაც არსებობენ. ერებიცა და ნაციონალიზმიც ჩნდება საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ და თანამედროვეობის შედეგს წარმოადგენს (დავითაშვილი, 2003, 100).

ჩვენს საკვლევ თემას კარგად ხსნის ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის, პოლიტიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მიმართულება - ნაციონალიზმი, როგორც პოლიტიკის ფორმა. ამ მიმართულების წარმომადგენელი არის ჯონ ბროილი. ბროილი მიიჩნევს რომ სახელმწიფოში მთავარი პრობლემა არის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს საჯაროსა და კერძოს შორის. ამას ავტორი ხსნის ორი მიმართულებით. პირველი მიმართულების მიხედვით, პასუხი ამ ურთიერთდამოკიდებულებაზე არის პოლიტიკური ხასიათის და გულისხმობს შემდეგს - საზოგადოება განისაზღვრება როგორც მოქალაქეთა ერთობა, სახელმწიფოს მიმართ ვალდებულება დემოკრატიულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში მონაწილეობით ამოიწურება, ხოლო მეორე პასუხი არის კულტურული, რომლის მიხედვითაც ურთიერთდამოკიდებულებას კერძოსა და საჯაროს შორის განსაზღვრავს საზოგადოების კოლექტიური ხასიათი. ბროილის მიხედვით ნაციონალიზმი აერთიანებს ორ საწყისს - ერი როგორც პოლიტიკური ერთობა და ერი როგორც კულტურული ერთობა (დავითაშვილი, 2003, 109). ეს თეორიული ჩარჩო ჩვენს საკვლევ კითხვაზე პასუხს კარგად ხსნის და ესადაგება ჰიპოთეზასაც. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა ზუსტად პოლიტიკური და კულტურული ხასიათის ერთობას, რომელიც ერთის მხრივ ეფუძნებოდა მოქალაქეობის პრინციპს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქვეშ აერთიანებდა როგორც ყველა მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა და სხვა მახასიათებლებისა, ასევე

კულტურულ ფაქტორსაც ითვალისწინებდა და ცდილობდა ეროვნული სახელმწიფოს შენება, ქართველებით ურავლესობით სათავეში, შეეთავსებინა ინტერნაციონალისტურ პრინციპთან ყველა ეთნიკური უმცირესობის უფლებების დაცვის კუთხით. ეს არის ზუსტად ის ურთიერთმიმართება, რომელზეც ბროილი საუბრობს, როცა ამბობს რომ ნაციონალიზმი მოიცავს ერს, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული სახით. ამ ორი პრინციპის შეთავსებაზე ნაშრომის სხვა თავში კიდევ უფრო ვრცლად ვისაუბრებ, ეხლა კი ყურადღებას გავამახვილებ ბროილის კიდევ ერთ აღნიშვნაზე, როცა ის გამოყოფს ნაციოანლისტური იდეების სამ სხვადასხვა ფუნქციას, რომელთაგანაც ერთი არის - კოორდინაცია. კოორდინაცია გულისხმობს, რომ ნაციონალისტური იდეები ემსახურება საერთო ინტერესების ყველაზე უფრო მაღლა დაყენებას (დავითაშვილი, 2003, 110). ესეც კიდევ ერთი შესაბამისობა 1918 წლის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. რესპუბლიკის დამფუძნებელი საბჭო და მისი წევრები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები გამუდმებით ცდილობდნენ, რომ წინა პლანზე წამოეწიათ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთიანობის საკითხი, რომ ყველა ადამიანი, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა წარმოადგენდა ერთი მთლიანის ნაწილს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილს და მათი, ყველას უპირველესი საზრუნავი და მოვალეობა იყო სწორედ ის, რომ ეზრუნათ საქართველოს და ყველას საერთო ინტერესის განხორციელებაზე - რესპუბლიკის გაძლიერებასა და შენარჩუნებაზე. ეს მიდგომები და სურვილები შემდგომ სხვადასხვანაირი ფორმით გამოვლინდა, მიიღო კანონის სახე, რათა სამართლებრივად მომხდარიყო დადასტურება ყველას თანასწორობისა და ერთიანობის და სხვ. მოდერნიზმის თეორიის, პოლიტიკური ტრანსფორმაციის ეს მიდგომა, რომელიც კოორდინაციაში გულისხმობს, რომ ნაციონალისტური იდეები საერთო იტერესების ყველაზე მაღლა დაყენებას ემსახურება, პირდაპირ მიემართება ჩვენს ჰიპოთეზას და წარმოადგენს იმის ამხსნელ მაგალითს, რომ 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერები საზოგადოებაში ცდილობდნენ ერთიანობის გრძნობის დანერგვას, რათა ყველა ადამიანს, განურჩევლად ეთნიკური

მიკუთვნებულობისა, საქართველოს მოქალაქედ ეგრძნო თავი და ეზრუნა საერთო საქმეზე - ქვეყნის მომავალ განვითარებაზე.

1.2 ცვლადების განმარტება

ამ თავში შევეცდები ავხსნა ჩემ მიერ გამოყენებული ცვლადები, განვსაზღვრო მათ შორის არსებული კავშირი, ვისაუბრებ თუ რატომ გადავწყვიტე, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმი იყოს დამოკიდებული ცვლადი, ხოლო ქართული პოლიტიკური ელიტა დამოუკიდებელი ცვლადი.

დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს ქართული პოლიტიკური ელიტა, რომელიც 1918 წლიდან უკვე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმოადგენდა ძირითად ძალას, რომელიც განსაზღვრავდა იმ პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას. და პოლიტიკური ელიტა, როგორც საზოგადოების აზრის ფორმირებაზე მოქმედი ძირითადი ძალა, არის იდეების გამავრცელებელი და მობილიზაციის მომხდენი. როჯერს ბრუბაკერის მიხედვით, ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფი იყოფა მასებად და ელიტებად. კონფლიქტები, ხდება სწორედ ელიტების დაპირისპირების საფუძველზე. ეთნიკური ჯგუფები მთლიანად არ ერთვებიან ამ კონფლიქტებში და ისინი არიან გაერთიანებულნი ელიტების ინტერესების გარშემო. ეს ინტერესები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური სახის. პოლიტიკურ ლიდერებს მასების აყოლიება სჭირდებათ საკუთარი ინტერესებისთვის და მათ მობილიზაციას როგორც წესი, ახდენენ ეთნიკურობაზე აქცენტის გაკეთებით. ბრუბაკერის მიხედვით, ეთნიკურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს, რომ ერთეულების ინტერესები იქცეს უმრავლესობის/მასების ინტერესებად (Brubaker, 2002). ყოველივე აღნიშნული ჩვენს საკვლევ თემას უკავშირდება იმდენად, რამდენადაც 1918-1921 წლების ქართული საზოგადოება, როგორც ერთი მთლიანი, აერთიანებდა პოლიტიკურ ელიტებს და მეორე მხრივ, დანარჩენ საზოგადოებას. განსხვავება არის ის, რომ მაშინდელი პოლიტიკოსები ეთნიკურობას არ წამოწევდნენ წინა პლაზე და რადგანაც ესმოდათ არსებული რთული პოლიტიკური სიტუაცია, ცდილობდნენ სამოქალაქო ერთობის შექმნას საქართველოში. მათ იდეებს და აზრებს მიყვებოდა მაშინდელი

საზოგადოების დიდი ნაწილი. ამ პოლიტიკურ ელიტაში პირველ-რიგში განვიხილავ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის წევრებს - ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნიკოლოზ ჩხეიძე, ევგენი გეგეჩკორი, ისიდორე რამიშვილი და სხვ. ესენი იყვნენ ის ხალხი, რომლებმაც გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა და მოვიდნენ ხელისუფლებაში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ.

რათქმაუნდა არსებობდნენ გამორჩეული ლიდერები ამ პარტიაში, როგორიც იყო პირველ რიგში აკაკი ჩხენკელი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარი როლი შეასრულა ჯერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საქმეში. აკაკი ჩხენკელი იყო პირველი, ვინც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ყოფნა ამიერკავკასიის ფედერაციაში იყო შეუძლებელი და აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან ბათუმში ყოფნისას გამოაგზავნა ორი საიდუმლო წერილი, რომლის საფუძველზე სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა.

1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელია. აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით თურქეთის შეჩერება არარეალურია. 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა (bu.org.ge).

კიდევ ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასა და შემდგომში სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარების მცდელობაში, ესაა კიდევ ერთი სოციალ დემოკრატი - ნოე ჟორდანია, რომლის წვლილიც ძალიან მნიშვნელოვანია. 1918 წლის მაისში ბათუმში გაიმართა ამიერკავკასიის სეიმსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები. ნოე ჟორდანიამ ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა და საქართველოს გამოყოფის საკითხი ერთბაშად არ გაუტანია

სეიმის სხდომაზე. მან ნიადაგი მოუსინჯა ამიერკავკასიის სეიმის დაშლას და საქართველოს გამოყოფის საკითხი წინასწარ განუხილავს სომხებთან (თადიაშვილი, 2009).

ნოე ჟორდანია იყო სწორედ თავჯდომარე დამფუძნებელი კრების, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

დამოკიდებულ ცვლადს კი - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებულ სამოქალაქო ნაციონალიზმი წარმოადგენს. ამის მთავარი და უპირველესი დამამტკიცებელი საბუთი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც შედგენილ იქნა საკონსტიტუციო საბჭოს მიერ და რომელშიც ვკითხულობთ - ადამიანთა უფლებების თავში, 31 მუხლში წერია, რომ ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს. მოქალაქის დევნა ან მის პოლიტიკურ თუ სამოქალქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს. სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევის, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული. სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არ აქვს მოქალაქეობრივ უფლებებსა და მდგომარეობაზე (constcommission.parliament.ge).

ზემოთ მოყვანილ მუხლში ნათლადაა წარმოჩენილი ის სამოქალაქო ნაციონალიზმის ღირებულება, რომელიც გულისხმობს, რომ რწმენის მიხედვით რელიგიური უმცირესობების შევიწროვება არაა დაშვებული და კანონის წინაშე ყველა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა არის თანასწორი. არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეების, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს ეკუთვნიან, შევიწროვება ან რაიმე სახის შეზღუდვების დაწესება.

კიდევ ერთი კარგი მაგალითი არის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სადაც წერია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებში, თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალქო და პოლიტიკურ

უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა (კობახიძე, სილაქაძე, ვაჭარაძე, 9).

დამოუკიდებლობის აქტში ხაზგასმითაა აღნიშნული ასევე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის უფლებების დაცვას, თანასწორობის პრინციპი არის უმთავრესი, რომელიც ჩაწერილია დამოუკიდებლობის აქტში და წარმოადგენს სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების რეალურ მაგალითს.

მნიშვნელოვანია სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საკითხში როგორც კონსტიტუციაში ისე დამოუკიდებლობის აქტში აღნიშნული ეს თავები, რომელიც ეხება უშუალოდ ყველა მოქალაქის თანასწორობასა და მათი უფლებების სრულ დაცვას. კანონის უზენაესობა ყველა წოდებაზე მაღლა დგას და მიუხედავად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა საქართველოს ყველა მოქალაქე თანაბრადაა პასუხისმგებელი კანონის წინაშე.

1.3 ისტორიული მიმოხილვა

მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკოსები, რომლებიც ქმნიდნენ იმ პერიოდის ქართულ პოლიტიკას, იყვნენ უფრო მეტად კულტურული ნაციონალიზმის გამტარებლები. მათ შორის ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ისევე როგორც მათი წინამორბედები მე-19 საუკუნეში იყვნენ ნაციონალისტები, თუმცა ეს იყო კულტურული ნაციონალიზმი, რომელსაც სტივენ ჯონსი ადარებს ავსტრიული სოციალ-დემოკრატიისათვის დამახასიათებელ ნაციონალიზმს. იმ ნაციონალიზმს, რომელსაც შეეძლო მრავალეთნიკურ დემოკრატიულ სახელმწიფოში განვითარებულიყო და ეარსება. ქართველი ინტელიგენცია, სოციალ-დემოკრატების ჩათვლით, 1918 წლამდე თვითგამორკვევისთვის იბრძოდა და არა დამოუკიდებლობისთვის (ჯონსი, 2007, 12).

რუსეთთან, როგორც მოკავშირესთან და მეგობართან ურთიერთობა აიხსნება სხვადასხვა ფაქტორებით, მაგალითად როგორიცაა ერთმორწმუნე ერის საკითხი.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო წარმოადგენდა წლების განმავლობაში ისლამური იმპერიების მორჩილების ქვეშ მყოფ სახელმწიფოს, რუსეთი, როგორც მართლმადიდებლური სახელმწიფო ჩვენი ქვეყნისთვის გარკვეული ხსნა იყო იმ დროისათვის. 1874 წელს, ერთ-ერთი სემინარიიდან გარიცხული სტუდენტი წერდა, რომ ყველას კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მიერ გაწეული დახმარება საქართველოსთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, „რომ არა რუსეთი, სპარსეთი და ოსმალთა იმპერია დიდი ხნის წინ ჩაგვყლაპავდნენ“ (ჯონსი, 2007, 18). აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რატომ იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იმ პერიოდისთვის უპირველესი საზრუნავი არ იყო და შესაბამისად ნაციონალიზმი, როგორც ერის ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში მთავარი ინსტრუმენტი არ იყო ისე ძლიერი, რომ მოეხდინა ყველა ფენის მობილიზება და გაერთიანება დამოუკიდებლობის იდეის გარშემო. ნაციონალიზმის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით ის წარმოადგენს სწორედ - ეროვნული ინტერესებისადმი, ეროვნული ერთობისა და ერონული დამოუკიდებლობისადმი ერთგულებას და მის დაცვას (დავითაშვილი, 2003, 46).

1.4 ლიტერატურის მიმოხილვა

ამ თავში მიმოვიხილავთ იმ ლიტერატურას, რომელშიც წარმოდგენილია საუბარი იმ პერიოდის მმართველი პარტიისა და მისი ლიდერების შესახებ, ასევე გამოყენებული გვექნება კონკრეტული ლიდერების მიერ ნათქვამი ფრაზების გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც გამოკვეთს მათ ხედვებსა და როლს სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამ თავში წარმოდგენილი გვექნება წიგნების, სტატიების ან იმ პერიოდის პრესის ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც შეეხება არა მხოლოდ კონკრეტულად 1918-1921 წლებს, არამედ ასევე მოიცავს წინა პერიოდსაც. ჩვენი აზრით, საჭიროა წარმოვადგინოთ გარკვეული ფაქტები თუნდაც 1917 წლიდან, რომელიც ასევე განხილული გვაქვს ისტორიულ მიმოხილვაშიც.

ერთ-ერთი საინტერესო წიგნი, რომელიც ეხება 1918-1921 წლების საქართველოს, ამ პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას და ლიდერებს, არის ემიგრაციაში წასული ქართველების მიერ გამოცემული წიგნი - *„აწმყო შობილი წარსულისაგან“*, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი მიმოხილვების ნაკრებს. პირველი ანალიტიკური სტატია, თუ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, ეკუთვნის ვიქტორ ნოზაძეს, რომელიც დაწერილია 1934 წელს პარიზში. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს იმიტომ, რომ მათ არ გაუჩნდათ სურვილი უკან გახედვის, ისტორიაზე დაკვირვების. ავტორის მიხედვით აუცილებელია ისტორიის შესწავლა, უკვე დასრულებული ეპოქის ანალიზი, რადგან კარგად შეიწავლო წარსულში დაშვებული შეცდომები და მომავალი ააგო ისე, რომ იგივე შეცდომები აღარ გაიმეორო. ავტორის ეს პოზიცია ეხება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებს. ვიქტორ ნოზაძეს მიაჩნია, რომ მაშინდელმა ლიდერებმა სახელმწიფოს შენების გზაზე არ გაითვალისწინეს წარსული შეცდომები.

მნიშნელოვანია ნოე ჟორდანიას პოზიცია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან მიმართებაში, რომელიც მოგვიანებით გახდა პარტიის წევრი და დამფუძნებელი კრების თავჯდომარეც იყო. 1905 წელს ნოე ჟორდანია წერს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაზე: „ საკვირველია ის, რომ ჩვენში, რუსეთში, სადაც მსხვილი კაპიტალის განუვითარებლობით წვრილი კაპიტალი დიდ როლს თამაშობს, წვრილი ბურჟუაზია მაგარი, მრავალი და თავაღებულია, მისი პარტიები კი სუსტი და უძლურია. მუშათა პარტიამ წინ გაუსწრო მათ და ბრძოლის ველს დაეპატრონა. ნაციონალისტები, სოციალ-რევოლუციონერები და სხვა დემოკრატიული პარტიები უჯარო სარდალთა გროვაა. მათი ჯარი კი მუშათა პარტიას ეხმარება, გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის და ეს განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიაში“. - აი სად ყოფილა თურმე სოც.დემოკრატიის პრინციპების სიწმინდის შელახვის საფრთხე, - იქ, რომ „გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის“.. ვკითხულობთ ტექსტში (ურუშაძე, 1991, 18-19).

საინტერესოა ასევე სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ლოზუნგები - „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა ლოზუნგებმა დიდი რევოლუციური გაქანება და ბრძოლა განიცადა. მისი პოლიტიკური დროშის ქვეშ, მოძრაობის განვითარების დროს, ხალხის დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა, ვინაიდან ამ დროშაზე გარკვევით და სითამამით იყო აღნიშნული ბრძოლის სიტყვა და საქმე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“. „სოციალ-დემოკრატიული მეთაურობა აცხადებდა: ისტორიამ ჩვენ დაგვაკისრა მძიმე მოვალეობა: ჩვენ სოციალისტებმა ბურჟუაზიული საქმე უნდა ვაკეთოთო, მაგრამ ამ ბურჟუაზიული საქმის კეთებას სარჩულად დაედო ისეთი მაღალი და რთული დემოკრატიის შექმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო არა მარტო უბრალოდ პოლიტიკური დემოკრატია, არამედ ეკონომიკური დემოკრატიაც, რაც საქართველოს პირობებში, თუ სიგიჟე არა, ოცნება მაინც იყო. აქ ხდებოდა შეჯახება სინამდვილესა და თეორიებს შორის, მაგრამ საგარეო უბედურებამ ხელოვნურად შეწყვიტა ეს დავა. და თვით ამ საგარეო უბედურების დროს გამოირკვა ისიც, რომ ხელმძღვანელობა უფრო თეორიებზე ოცნებობდა და დოქტრინებს მისდევდა, ვიდრე სინამდვილესა და ფაქტებს“ (ურუშაძე, 1991, 19-20).

კიდევ ერთი სტატია რომელიც ასევე ნოზაძეს ეკუთვნის ეხება სოციალ-დემოკრატების საგარეო ურთიერთობებს და ეს მნიშვნელოვანია იმ კუთხით რომ წარმოადგენს ცვლილებას მოკლე პერიოდში თუ როგორ მოხდა ტრანსფორმაცია სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკაში. თავიდან თუ ისინი წარმოადგენდნენ რუსეთის პოლიტიკაზე ორიენტირებულ ძალას, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ სამოქალაქო მოტივებზე დაფუძნებულ ერთობად. „სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შესაძლებლად სცნობს ორიენტაცია აიღოს რუსეთის დემოკრატიაზე, რომელიც იღვიძებს და ეძებოს დახმარება იმ მეგობრულ ძალთა, რომელნიც მზად არიან დაეხმარონ ამიერკავკასიის დემოკრატიას მის ბრძოლაში ფიზიკური და პოლიტიკური არსებობისთვის“ (ურუშაძე, 1991, 54).

ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესოა განხილული ლიტერატურის ანალიზისას, წარმოდგენილი იყოს პოლიტიკური პარტიის როგორც კრიტიკა ისე მისი მხარდამჭერი არგუმენტები.

კიდევ ერთი სტატია, რომელიც წარმოდგენილია ამ წიგნში, არის ფრანგი ავტორის ლუი დე ფურის მიმოხილვა. სტატიის სათაურია - *ქართული პოლიტიკური პროცესები მეოცე საუკუნის დასაწყისში.* მას მოყავს კონსტიტუციიდან ნაწყვეტი, რომელიც გამოხატავს იმ პერიოდის პოლიტიკური პარტიის მუშაობის შედეგს. „დამოუკიდებლობის გამოცხადება დაადასტურა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 12 მარტს. ამ კრების არჩეულ კომისიას დაევალა ახალი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. 1921 წელს თებერვლის 22-ს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საბოლოო ტექსტი კონსტიტუციისა, რომელიც ამყარებდა პარლამენტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკას. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ კენჭის ყრით არჩეულ პარლამენტს. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა „რესპუბლიკის მთავრობას“, რომლის თავჯდომარეს ირჩევდა პარლამენტი, ხოლო დანარჩენ წევრებს იწვევდა თვით თავჯდომარე. მთავრობა სოლიდარულად პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. კონსტიტუციას გათვალისწინებული ჰქონდა აგრეთვე დამოუკიდებელი სამოსამართლო ხელისუფლება. ბოლოს მეთოთხმეტე თავი ეხებოდა უმცირესობათა უფლებებს; იგი ანიჭებდა უმცირესობათ უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია 1919 წლის ხელშეკრულებით უმცირესობათათვის, ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებში“ (ურუშაძე, 1991, 145).

საინტერესოა კონსტიტუციის საკითხების განხილვა საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც გამოკვეთს ეროვნულ საბჭოში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების ერთმანეთისგან განსხვავებულ პოზიციებსა და უკავშირდება საქართველოს ყოფნის საკითხს ამიერკავკასიის რესპუბლიკაში და შემდეგ უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმის თემას. ამ საკითხზე მიმოვიხილავთ მალხაზ მაცაბერიძის ნაშრომს - *კონსტიტუციის საკითხების განხილვა საქართველოს ეროვნულ*

საბჭოში. ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე, 1918 წლის მაისში ქართველი სოციალ-დემოკრატები უფრთხოდნენ პატარა სახელმწიფოს და არ სჯეროდათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა შეეძლო. ისინი ამაზე ღიად საუბრობდნენ. აი რას აცხადებდა სერგი ჯაფარიძე - „ქართველი ერი მეტად პატარაა და მცირერიცხოვანი. პატარა ერს თავისუფალი არსებობა არ შეუძლია“. „გამოვეყოთ და ცალკე ვიყოთო. იმას კი არ ამბობენ, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას „ - მოთმინებადაკარგული ამბობდა რაჟდენ არსენიძე (მაცაბერიძე, 2011, 21-22). ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, კოტე აფხაზი ამბობდა, რომ სოციალ-დემოკრატების მარქსისტული იდეალი იყო დიდი სახელმწიფო და რადგანაც დიდი დემოკრატიული რუსეთის იდეიდან არაფერი გამოვიდა, ახლა ამიერკავკასიის მთლიანობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. „სოციალ-დემოკრატები ჯერ რუსეთის ცენტრს ეტრფიალებოდნენ, ეხლა ეს ცენტრი აქ გადმოიტანეს და სახეშეცვლით დაარქვეს მას ფედერაცია, რომელთანაც მას არავითარი მსგავსება არა აქვს“ (მაცაბერიძე, 2011,22). კიდევ ერთი ეროვნულ-დემოკრატი გრიგოლ ვეშაპელი აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატები რჩებოდნენ რუსეთის ორიენტაციის პარტიად და ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნის იდეაც რუსული ორიენტაციის გაგრძელება იყო. განსხვავებით სოციალ-დემოკრატებისაგან, ეროვნულ-დემოკრატები აღნიშნავდნენ, რომ მათი პოზიცია რეალური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა. გრიგოლ ვეშაპელის თქმით „ ჩვენისთანა პატარა ერისათვის ყოველივე კითხვის გარდაწყვეტის დროს, ერთად-ერთი სავალდებულო საზომი - საქართველოს გარეშე მომქმედ სახელმწიფოებრივ ძალთა ანგარიში არის. რუსეთის დაცემის შემდეგ, რუსეთზე ორიენტაცია დამღუპველია. მით უმეტეს, რომ მან ასი წელი უკვე იბატონა საქართველოში. ეს კი უკანასკნელი ვადა არის პატარა ერის მონობისთვის, თუ ამ დროში თავი არ გაინთავისუფლა ბატონობისაგან, უნდა საბოლოოდ გადაგვარდეს“ (მაცაბერიძე, 2011, 22-23). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ასე ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიშ შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო საბჭოს წევრები გახდნენ. ხოლო ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია, რომ „საქართველოს თავისი ინტერესების

დაცვა გერმანიაზე ორიენტაციის აღებით შეეძლო“ (მაცაბერიძე, 2011, 23) მოგვიანებით გაზიარებულ იქნა სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მიერაც.

განხილული ერთ-ერთი გაზეთი, „ერთობა“, წარმოადგენს სოციალ-დემოკრატების ოფიციალურ გამოცემას. მასში გამოქვეყნებულ სტატიებში კარგად ჩანს გზა, რომელიც გაიარა დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისას იმ პერიოდის პოლიტიკურმა ელიტამ. გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 2 აპრილის ნომერში საუბარია სოციალ-დემოკრატის ჯგუფის ფერისცვალებაზე. ამ ნაწილში საუბარი შეეხება სოციალ-დემოკრატების განწყობებს, რომელიც მკვეთრადაა გამიჯნული რუსეთის და მარქსისტული კომუნიზმისგან და აღიარებს დემოკრატიული რესპუბლიკის უპირატესობას. მათთვის სოციალიზმი განუყოფელია დემოკრატიისგან. „...ჩვენ კი ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადოთ, რომ რაც უნდა ცვლილებანი და მოძრაობა ხდებოდეს დღეს ევროპაში, რაც არ უნდა უახლოვდებოდეს ეს მოძრაობა რუსეთელ ბოლშევიზმს, ჩვენი, როგორც სოციალ-დემოკრატების, როგორც მარქსისტების პოზიცია, რჩება ძველი: კომუნიზმის წინააღმდეგ მარქსისტული სოციალიზმი, კოლექტივიზმი, საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დემოკრატიული სახელმწიფო, აგებული საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე. ჩვენთვის სოციალიზმი განუყრელია დემოკრატიისგან. დემოკრატია და სოციალიზმი პროლეტარიატისთვისაა საჭირო. დემოკრატია, ე.ი. რაც შეიძლება ფართე თავისუფლებანი და პოლიტიკური უფლებანი ხალხის მასისა, სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებათა ხალხის მასის იარაღათ გადაქცევა. შემდეგ კი სოციალიზმი, ე.ი. კერძო წარმოების განსაზოგადოებრივობა. ორივე პროლეტარიატისთვის ერთნაირად საჭიროა, საზოგადოებრივი წარმოება უდემოკრატიოთ საზოგადოებას უსაშინლეს უღელს დაადებდა. ვინც ამ დებულებას ღალატობს, ის სოციალ-დემოკრატათ ვერ დარჩება. ჩვენ ამას ვიზიარებდით თავიდან და ახლაც ამ გზას მტკიცედ ვადგივართ“ („სოციალ-დემოკრატიის“ ჯგუფის ფერიცვალება, 1919). აქ ნათლადაა გამოკვეთილი, თუ როგორც ესმოდათ სოციალ-დემოკრატებს დემოკრატიის მნიშვნელობა და მისი არსი, რაც სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია.

გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 3 აპრილის ნომერში პარტიულ მუშაობას შეეხება საუბარი, სადაც ვკითხულობთ, რომ „განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა საქართველოს დამფუძნებელ კრებასა და მთავრობას. ეს უკანასკნელი ეყრდნობა ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობის ნდობას, თვით დამფუძნებელი კრებაც თავისი შემადგენლობით მთელი ხალხის ნება-სურვილის გამომხატველია. ჩვენ ნდობას გვიცხადებენ იმისთვის, რომ ჩვენი მოღვაწეობა საუკეთესოდ უზრუნველყოფს დემოკრატიის ინტერესებს. არა მარტო მუშათა კლასი, წვრილი ინტელიგენცია და საერთოდ წვრილი ხალხი, არამედ ყველა ის წრეები, რომლებიც ძველი წყობილებით იტანჯებოდნენ ჩვენს პარტიას აფარებდნენ თავს, რადგანაც მხოლოდ ჩვენი პარტია იცავდა ყველა მაშვრალთ და ტვირთ მძიმეთ და იცავდა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით (პარტიული მუშაობა, 1919). აქ კარგადაა გამოკვეთილი სამოქალაქო ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელი უმთავრესი პრინციპი, რომ მოსახლეობის უმრავლესობის ნდობით სარგებლობს ის მთავრობა, რომელიც იღებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ თუ როგორ იყენებდა მთავრობა კანონს საკუთარი პოლიტიკის განხორციელებისას. საქმე ისაა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რასაც დამფუძნებელი კრება შემდეგნაირად ხსნიდა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთის ჩამორჩენილობა დიდ გავლენას ახდენდა საქართველოზე და ასევე ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა მის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მიმართ, განაპირობებდა საბოლოო ჯამში იმას, რომ საქართველოში ვერ განვითარდა შინაური მრეწველობა. ამის გამო იყო, რომ გარედან შემოტანილი საქონელი იყიდებოდა ქვეყანაში მხოლოდ და საქონლის დეფიციტმა საბოლოოდ წაახალისა და განავითარა ქვეყანაში სპეკულაცია, რომელიც როგორც სტატიაშია ნათქვამი, იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა ხალხისთვის, რომ მათ აღარ აინტერესებდათ არანაირი ხელობა, ყველა ამ საქმით იყო დაკავებული. და იმ პერიოდის პოლიტიკურ ლიდერებს კარგად ესმოდათ, რომ პრობლემის აღმოსაფხვრელად ისეთი ქმედითი ნაბიჯები იყო მისაღები, რომელიც პირველ

რიგში ხელს შეუწყობდა სპეკულიანტი ვაჭრების შემცირებას, ეკონომიკის დარგის განვითარება აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ქვეყანაში წარმოება დაწყებულიყო. აი რა წერია ერთობის მაშინდელ ერთ-ერთ გამოშვებაში - „ჩვენ გვაქვს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სპეკულაციის წინააღმდეგ მიმართული, ეს კანონი ჩვენი სასამართლოსა და ადმინისტრაციის უმოქმედობის გამო ჯერ არავის მოუყვანია სისრულეში. ამის მიზეზია სხვათაშორის თვით კანონის მრავალი მნიშვნელოვანი დეფექტი. მაგრამ თვით იდეა სწორია და ამიტომ საჭიროა დამფუძნებელმა კრებამ გადასინჯოს აღნიშნული კანონი და მის მაგიერ ახალი მიიღოს. უმთავრესი მნიშვნელობა კი უნდა მიექცეს ჩვენს მეურნეობას“ (დამფუძნებელი კრება, 1919).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ კანონის უზენაესობა, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი სახელმწიფოს შენების გზაზე, დამფუძნებელი კრების მიერ აღიარებულია და პრაქტიკაშიც ხშირადაა მაგალითები კანონის საფუძველზე როგორ მოქმედებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. კიდევ ერთი კანონის შესახებ რომ ვისაუბროთ, სადაც ნათლადაა გამოხატული, რომ სამართლიანი ბაზის საფუძველზე მოქმედებს დამფუძნებელი კრება და მთავრობა, ეს კანონი ეხება დაუსახლებელი მიწების გაყიდვის აკრძალვის მექანიზმს. „...ამ კანონპროექტით დაუსახლებელი მიწების ყიდვა-გაყიდვა აიკრძალება. მემარცხენეებმა ამ დებულებიდან ის დაასკვნეს, რომ ეს დეკრეტები რაღაც ახალ განსაზღვრულ აზრს შეიცავს. ჩვენ გვსურს, რომ დღესვე შეჩერდეს ცარიელი მიწების ყიდვა-გაყიდვა, რადგანაც ვიცით, რომ თუ ასეთი წესი არ დამყარდა დღესვე, მანამდე ეს აგრარული კანონი არ გამოვა. ეს ცარიელი მიწები ათასგვარი ხრიკების წყალობით დაქუცმაცდებიან, ნაწილ-ნაწილად გაიყიდებიან და სხვ. აი მთავარი აზრი ამ კანონის. სანამ ეს კანონი არ შემუშავებულა, ძნელია იმის განსაზღვრა წინასწარ, თუ როგორ და რა გზით გატარდება ეს მიწის რეფორმა. მიზანი კი ცხადია, რომ ის ცარიელი მიწები, რომლებიც ტყუილუბრალოდ ცდებიან, გამოყენებულ იქნას საზოგადოების მიერ (დამფუძნებელი კრება, 1919).

ფაქტი ერთია, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში არსებული მმართველი ძალა, ყოველთვის ცდილობდა სახელმწიფოს მართვისას ეხელმძღვანელა კანონის უზენაესობის პრინციპით. სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, აყალიბებდა სამოქალაქო ნაციონალიზმს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ მმართველი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილ იყო როგორც დამფუძნებელ კრებაში, ასევე მთავრობაში, გამომდინარეობდა უმთავრესად კანონიდან და კონსტიტუციური საფუძვლებიდან, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ერთი მაგალითი იმისა, იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებას, როგორ ესახებოდა ქვეყნის მომავალი განვითარება და რიგი ფაქტორების საფუძველზე, მართებულია ვთქვათ, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მცდელობა მაინც იყო ეს.

ზემოთ როგორც ვახსენე, ამ პერიოდის კვლევისას მნიშვნელოვანია ის მკვეთრი ცვლილება, რომელიც მოხდა იმ პოლიტიკოსების შეხედულებებში. ჯერ კიდევ 1917 წლამდე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას არ იზიარებდნენ მაშინდელი პოლიტიკური პარტიების ნაწილი და ნაციონალიზმის კულტურულ ფორმას იღებდნენ და მის ფარგლებში არსებულ უფლებებს იყენებდნენ. ზუსტად ამაზე წერს შოთა ვადაჭკორია წიგნში - *ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში.* ავტორის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით, ქართული პოლიტიკური აზრის ცვალებადობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თუ 1917 წლის ბოლომდე საქართველოს ხედავდნენ რუსეთის შემადგენლობაში პოლიტიკური ავტონომიის სახით, 1918 წლიდან ისინი უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დღის წესრიგში აყენებდნენ. ამ შემთხვევაში ავტორი საუბრობს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 2 იანვრის სხდომაზე, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დააყენა სხდომის წინაშე (ვადაჭკორია, 2008, 128).

2.ქართული პოლიტიკური აზროვნება - ავტონომიიდან - დამოუკიდებელ სახელმწიფომდე

2.1 ნაციონალიზმი 1860-იან წლებში - გამოძახილი მე-20 საუკუნის დასაწყისში

ამ ქვეთავში საუბარი გვექნება იმ დამოკიდებულებებზე, რომელიც გააჩნდათ 1900იანი წლების პერიოდის პოლიტიკურ ელიტას და რომელიც, ჩვენი აზრით, იმეორებდა მანამდე არსებულ, საუბარი გვაქვს 1860-იანი წლებიდან მოყოლებულ დროზე, ხაზებს ნაციონალისტური გრძნობების შესახებ. ვფიქრობთ, ის მსგავსებები, რომლებიც არსებობდა, ერთი მხრივ, „თერგდალეულებსა“ და მეორე მხრივ, ჩვენი საკვლევი პერიოდის - 1918-1921 წლების, პოლიტიკური ლიდერების, იგივე ელიტას შორის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც კარგად ასახავს თუ როგორ ესმოდა მაშინდელ საზოგადოებას ერი, რა წარმოდგენები და რა მოლოდინები არსებობდა ერის- როგორც ერთი მთლიანის გარშემო და ყველაფერი ეს, როგორ უკავშირდებოდა ნაციონალიზმის არსს და მის გააზრებას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების გზაზე მთავარ იარაღს.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეებში იყვნენ, გააგრძელეს ის გზა, რომელიც „თერგდალეულებმა“ გაიარეს, მართალია არსებობდა რიგი განსხვავებები მათ შორის, თუმცა ძირითადი ხაზები, რომელიც საჭიროა დემოკრატიული ქვეყნის მართვისას მათ ისწავლეს და გადმოიტანეს იმ რეალობაში სწორედ „თერგდალეულებისაგან“. სტივენ ჯონსი, თავის წიგნში - სოციალიზმი ქართულ ფერებში, ზუსტად ამ ბმაზე საუბრობს, რომელიც არსებობდა ერთი მხრივ, „თერგდალეულებსა“ და მეორე მხრივ, მეოცე საუკუნეში მოღვაწე სოციალ-დემოკრატებს შორის. თერგდალეულების მეშეობით გაიზიარეს „საქართველოში თანასწორობის, პიროვნული უფლებებისა და ეროვნული თავისუფლების იდეები, ხოლო თავად სოციალ-დემოკრატებმა მათგან პოლიტიკური ცვლილებებისადმი პრაგმატული მიდგომა მიიღეს მემკვიდრეობით“ (ჯონსი, 2007,47-48).

ილია ჭავჭავაძე, ძალიან მწვავედ აკრიტიკებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა საქართველოს მიმართ, თუმცა იმ მამემის თაობის მსგავსად, რომელსაც ძირითადად „თერგდალეულები“ ეწინააღმდეგებოდნენ მათი დამოკიდებულებების გამო, ილიაც აღიარებდა რუსეთის როლს საქართველოს გადარჩენის საქმეში. „რუსეთმა არამარტო კარი გაუღო განმანათლებლობას საქართველოში, არამედ უფრო მეტიც - თბილისში რუსეთის ჯარების ჩადგომის შემდეგ, „საქართველომ სიმშვიდე მოიპოვა. ერთმორწმუნეების ზრუნვამ მტრისგან მოგვრილი შიშები გაგვიბნია. მუდმივ ბრძოლაში ჩართულმა, გადაღლილმა ქვეყანამ დაისვენა ამაოხრებელი შემოსევებისგან და ლაშქრობებისგან“ (ჯონსი, 2007, 20). და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საქართველოს არაერთი ცუდი რამ გაუკეთა, რაც განსაკუთრებით მძაფრად გამოჩნდა 1860-1870 წლებში, როდესაც მისი კოლონიური რეჟიმი ბევრ უარყოფით ნაბიჯს დგამდა მთელ კავკასიაში, ქართველი ინტელექტუალები, ის ნაწილი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ფრთას ეკუთვნოდა, მაინც ინარჩუნებდნენ რუსეთისადმი მოლოდინებსა და იმედებს. 1865 წელს ნიკო ნიკოლაძე ამბობს შემდეგს : „საქართველოს ბედის დაკავშირებით თანამედროვე რუსეთთან, ჩვენი ქვეყანა უფრო მალე და უკეთ მოაგვარებს თავის საქმეებს, ვიდრე ამას შეძლებდა სხვა რომელიმე ევროპული ერის მზრუნველობის ქვეშ ან მასთან კავშირში“, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიკო ნიკოლაძის ამ დამოკიდებულებას იზიარებდნენ სოციალ-დემოკრატებიც და 1918 წლამდე სჯეროდათ, რომ საქართველოს თავისუფლების მიღწევა შესაძლებელი იყო მომხდარიყო თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში (ჯონსი, 2007, 21).

ერის, როგორც ერთი მთლიანის გაგება 1800იანი წლების მიწურულს არ არსებობდა და კუთხური იდენტობა კვლავ წინა პლანზე რჩებოდა. ეს რეალობა მეოცე საუკუნის დასაწყისშიც გადავიდა. „მე-19 საუკუნის მიჯნაზე კუთხური იდენტობა, საკმაოდ ძლიერ ფაქტორად რჩებოდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთიც ყოველნაირად უწყობდა ხელს ამას - საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ გუბერნიებად და ეროვნული ქვეჯგუფების (მცირე ეთნიკური ჯგუფების) ოფიციალური აღიარება სხვა არაფერი იყო, თუ არა კუთხური თვითშეგნების გაძლიერება“

(ჯონსი, 2007, 26). საინტერესოა ის ფაქტი, რომ რაც ხდებოდა ერთი მხრივ საქართველოს შიგნით კუთხური იდენტობის მხრივ, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, შეიძლება დავაკავშიროთ იმ პოლიტიკასთან, რომელიც ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირში. პარალელის გავლება ამ ორ პერიოდს შორის კარგად გამოკვეთს რუსეთის როლს საქართველოს ერთიანობის საქმეში. რეალურად საქართველოს მოსახლეობის ერთ მთლიანად ქცევა რთული პროცესი იყო. კუთხურობასა და საერთო თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე ზემოთაც ვისაუბრეთ. საბჭოთა კავშირთან მაგალითის გავლებით, ჩვენი აზრით, კარგად გამოჩნდება რუსეთის იმპერიული ზრახვები, რომელიც კვლევის პერიოდში, 1918-1921 წლებში, წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზეზს იმისას, თუ რატომ იყო რთული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საერთო თვითშეგნების ჩამოყალიბება. იური სლეზკინის სტატია - *საბჭოთა კავშირი როგორც კომუნალური ბინა, ანუ როგორ ახალისებდა საბჭოთა კავშირი ეთნიკურ განსაკუთრებულობას,* შეეხება იმ ეთნიკურ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ატარებდა წევრი ხალხების მიმართ. ერთი მხრივ, ცენტრი უზრუნველყოფდა ავტონომიები გამოყოფილიყვნენ ენის საფუძველზე, ეთნიკური ნიშნით, და წაეხალისებინა მათი კულტურული განსხვავებულობა, ყველას თავის ენაზე ქონოდა გაზეთი, რადიო, ტელევიზია და მეორე მხრივ, ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ადამიანი, რომლის იდენტობაც და ეთნიკური მიკუთვნებულობაც იქნებოდა საბჭოთა - შეექმნათ საბჭოთა ადამიანი. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკაა ის რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ - ვაწარმოებ ისეთ პოლიტიკას, რომელიც თან ემსახურება განსხვავებული ეთნოსების კულტურული მახასიათებლების გამოკვეთას და მათი განმასხვავებელი ნიშნების (ენის) წახალისებას და თან ვცდილობ წავშალო ყველა ხალხის ეროვნული/ეთნიკური ნიშანი და გავაერთიანო ისინი ერთი ერის - საბჭოთა ერის ქვეშ. ამის ამხსნელი, ჩვენი აზრით არის ის, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრის მიერ გატარებული იდეოლოგია, მის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს ყველაზე კარგად საკუთარ ენაზე შეიძლებოდა გაეგოთ. სწორედ ამიტომაც ხორციელდებოდა ის ეთნიკური პოლიტიკა, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. ამასთან, საინტერესო იყო ის, რომ საბჭოთა კავშირში მყოფ რომელიმე ერს, მისი ტერიტორია,

მხოლოდ მას არ ეკუთვნოდა. ავტორი ამიტომაც არქმევს საერთო საცხოვრებელს და ამბობს, რომ კავშირის შიგნით, სადაც არ უნდა წასულიყავი, თავს მაინც სახლში გრძნობდი. შენს ტერიტორიაზეც ნებისმიერს შეეძლო შემოსვლა. ამის მიზეზად ავტორი ასახელებს რუსულ ენას, რომელიც იცოდა ყველა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მცხოვრებმა ხალხმა (სლეზკინი, 1994). ამ პერიოდს, ჩვენს საკვლევ პერიოდთან აკავშირებს სწორედ ის დაყოფა, რომელიც ართულებდა საერთო იდენტობის შეგრძნების ჩამოყალიბებას და ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარე ძალასთან - რუსეთის იმპერიასთან მე-19 საუკუნის მიწურულს და საბჭოთა კავშირის ცენტრთან - ისევ რუსეთთან, მეოცე საუკუნეში. როცა ვიკვლევთ 1918-1921 წლების საზოგადოებაში ერის აღქმას და დამოკიდებულებას ქართველი ერის, როგორც ერთი მთლიანის მიმართ და ვცდილობთ ავხსნათ ის რეალობა, რომელიც მაშინ არსებობდა და წარმოვაჩინოთ იმ პერიოდის პოლიტიკურ ლიდერებს როგორ ესმით ერის მნიშვნელობა და როგორ მიაქვთ ეს ხალხამდე, ჩვენი აზრით, საჭიროა რუსეთის როლის წარმოჩენაც ამ საქმეში. რადგან როგორც ზემოთ ვთქვით, გარე ძალა - რუსეთის სახით ყოველთვის ცდილობდა საზოგადოების მაქსიმალურად დაყოფას, რაც იყო შედეგი მისი იმპერიული პოლიტიკისა. „მოსახლეობის აღწერის ჩამტარებლებმა 1897 წელს ქართველები ქართველებად, ინგილოებად, თუშებად, ხევსურებად, ფშაველებად, აჭარლებად, იმერლებად და გურულებად დაყვეს, მაგრამ სვანები, მეგრელები და ლაზები ცალკე ქვეჯგუფში ჩაწერეს. ეს უფრო მეტად რუსეთის იმპერიული კულტურის შედეგი იყო... კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია პოლიტიკურად ხელსაყრელი იყო დაპყრობის დასაჩაქარებლად და ახალი ტერიტორიების საბოლოოდ მისაერთებლად“ (ჯონსი, 2007, 26-27). ის ფაქტი, რომ რუსეთი ყოველთვის არსებობდა როგორც საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ დამუქრებული საფრთხე მნიშვნელოვნად განაპირობებდა ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებებს მათ მიმართ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საბჭოთა კავშირის ლიდერების მიერ გატარებული კურსი იდენტიფიცირებული იყო ნიკოლოზ რომანოვის იმპერიალისტურ პოლიტიკურ კურსთან. 1918-1921 წლების პოლიტიკური ლიდერები, სოციალ-დემოკრატები კერძოდ, კარგად აცნობიერებდნენ საბჭოთა რუსეთის

მიზნებს ამიერკავკასიის რეგიონის მიმართ და შეურიგებელ პოზიციას აშკარად ამჟღავნებდნენ (ვადაჭკორია, 2008, 134).

1918 წელს საქართველოს გაერთიანება და ერთ სახელმწიფოდ გამოცხადება რომ დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული და ეს პირველ რიგში გამოიხატებოდა მის სხვადასხვა ნაწილებად დაყოფაში, იმ პერიოდის გაზეთებში ხშირად იყო ამაზე საუბარი. საქართველო წარმოადგენს ერთმანეთთან მებრძოლ პარტიებს, წოდებებსა და კლასებს და როდესაც საქმე გვაქვს ასეთ დაშლილ სახელმწიფოებრიობასთან, რთულია თავი მოუყარო ყველა ნაწილს და ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად გადააქციო (ვადაჭკორია, 2008, 129).

ყველაფერი ზემოთ თქმული კი რათქმაუნდა პირდაპირ აისახებოდა ნაციონალიზმზე, რომელიც თავისი ხასიათით მხოლოდ კულტურული ნაციონალიზმი იყო და ეს კულტურული ნაციონალიზმი რეალურად წარმოადგენდა მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს. 1860-იან წლებში გაბატონებული კულტურული ნაციონალიზმი, რომელიც იყო გაბატონებული იდეოლოგია ქართველებს შორის, გარკვეულწილად გამომდინარეობდა ქართველებს, სომხებსა და რუსებს შორის არსებული წინააღმდეგობით, რაც მომდინარეობდა სამუშაო ადგილებისა და ძალაუფლების გადანაწილების პრობლემიდან (ჯონსი, 2007, 30). სომხები იმ დროისთვის იკავებდნენ სრულად ვაჭრობის სფეროს, ქონებრივად ძლიერ ნაწილს ქმნიდნენ, ხოლო რუსებს მართვის სადავეები ჰქონდათ ჩაბარებული. ნოე ჟორდანიას მიხედვით ქართველები ნაციონალიზმს ისევე უარყოფდნენ 1900იან წლებში, როგორც ადრე. ქართული სოციალ-დემოკრატია, ნოე ჟორდანიას მიხედვით, კულტურული ავტონომიის მოთხოვნისას გამოხატავდა ხალხის სურვილს, რომელთაც პოლიტიკურის ნაცვლად, სწორედ კულტურული ავტონომია ჭირდებოდათ. აქვე ის აღნიშნავდა, რომ რუსეთი წარმოადგენდა საქართველოს დამცველს არაერთი მტრისაგან და პროგრესული იდეების შემომტანს ჩვენთან (ჯონსი, 2007, 30). ნოე ჟორდანიას ეს განცხადება გულისხმობს იმას, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართული საზოგადოებისთვის არ იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ავტონომია. ნაციონალიზმი, როგორც ერის პოლიტიკური

დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში მთავარი იარაღი, არ წარმოადგენდა მაშინდელ საზოგადოებაში აქტუალურ საკითს. მთავარი იყო კულტურული უფლებების აღიარება და დაცვა. ამ ყველაფრის შემდეგ, სწორედ ნოე ჟორდანიაა ერთ-ერთი პირველი, რომელიც სათავეში უდგება დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში და თავისი განცხადებებისა და დამოკიდებულებების ანალიზის საფუძველზე, კარგად ჩანს მის მიერ სამოქალაქო ნაციონალიზმის საკითხებისადმი ლოიალური განწყობა და ნათელია რომ ის იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ნაციონალიზმის ამ მიმართულებას უყრიდა საფუძველს.

2.2 საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო და უმცირესობებისადმი განხორციელებული პოლიტიკა

სამოქალაქო ნაციონალიზმზე საუბრისას მნიშვნელოვანია მრავალეთნიკური საქართველოს შემთხვევაში ანალიზი იმ პოლიტიკისა, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურების მიერ. სამოქალაქო ნაციონალიზმი გულისხმობს, რომ ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფილია კულტურის სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშანით, არის ერთმანეთის თანასწორი, ყველა წევრი წარმოადგენს ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეს და პასუხისმგებელია თანაბრად კანონის წინაშე. 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრობლემები არსებობდა აფხაზების, ოსებისა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მთავრობა ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა მშვიდობიანი ურთიერთობები მათთან და არ ქონოდა რაიმე სახის დაძაბულობას ადგილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ თუ მას სურდა მოეწყო წარმატებული ეროვნული სახელმწიფო და მისი განვითარების პროცესი შეუქცევადად წარმართულიყო, აუცილებლად მხედველობაში უნდა მიეღო საქართველოსთვის განსაკუთრებით დამახასიათებელი გარემოება - მრავალეთნიკური მოსახლეობის სახით. იმ პერიოდის ქართველი პოლიტიკოსები ეროვნულ

უმცირესობებთან დაპირისპირებას დანაშაულად მიიჩნევდნენ, მათთვის გადასაწყვეტ პრობლემებს საქართველოს სინამდვილისადმი შესაბამისობის ფონზე განიხილავდნენ. 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ წარმოთქვა სიტყვა, სადაც მან ყურადღება გაამახვილა ეთნიკურ უმცირესობებზეც - „ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში, - ამბობდა იგი, - მოსახლეობს სხვადასხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა“. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობამ ამგვარი კურსის გატარებას მხარი დაუჭირა და ამ განცხადების რეალობაში გატარებას კი წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი - პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელმაც ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულება გამოკვეთილად დააფიქსირა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი პარტიების ხელმძღვანელთა ნება გამოხატა (ვადაჭკორია, 2001, 205). მნიშვნელოვანია ის საკითხიც, რომ 1918 წლის 15 ივნისის სხდომაზე კვლავ ითქვა, რომ „მთავრობა თავის მოვალეობად მიიჩნევს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში აღიარებული ის დებულება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს მიენიჭებათ ისეთივე პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იქნება თვით ქართველი მოქალაქენი“ - აღნიშნული იყო გააზრებული ნაბიჯი იმისა, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღება და ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა საფრთხედ არ აღექვად და დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში მათ ექნებოდათ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და კულტურული განვითარების საშუალება. მეორე მრივ კი საქართველოს მთავრობა ამით მყარ ნიადაგს ქმნიდა რესპუბლიკაში სტაბილურობის შენარჩუნებისა და დაპირისპირებების აღმოფხვრის მხრივ. თუმცა ზემოთ აღნიშნული არ ზღუდავდა ქართველი უმრავლესობის უფლებებს და არც ერის ინტერესებს უპირისპირდებოდა, ამის დადასტურებას წარმოადგენს 1918 წლის 15 ოქტომბერს მიღებული „კანონი საქართველოს სახელმწიფო ენისა“, რომელიც ქართულ ენას საქართველოს სახელმწიფო ენად აცხადებდა

და ყოველგვარი საქმის წარმოება ქართულ ენაზე უნდა მომხდარიყო. ეროვნულ უმცირესობებს ეროვნულ საბჭოში მშობლიურ ენაზე სიტყვის წარმოთქმის საშუალება ეძლეოდათ, ამავე საკითხს ეხება კანონი მოქალაქეობისა, რომელიც 1919 წლის 27 მაისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო (ვადაჭკორია, 2001, 206). საქართველოდან გამოყოფის სურვილი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის შექმნის სურვილი გამოთქვეს აფხაზებმა 1918 წლის 9 თებერვალს, როცა 1917 წლის ნოემბერში სოხუმში არჩეული ეროვნული საბჭოს წევრები შეხვდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებს. ეს რათქმაუნდა იყო სეპარატისტული გამოხტომა, რომელიც პირდაპირ არღვევდა საქართველოს სუვერენიტეტს. მოლაპარაკების შედეგად აფხაზი მხარე დათანხმდა საქართველოს შემადგენლობაში დარჩენას (ბენდიანიშვილი, 2001, 124). ის ფაქტი, რომ აფხაზების ამგვარი გამოხტომა საქართველოს მხარის მიერ მშვიდად იქნა გადაწყვეტილი, თანაც ისე, რომ ოფიციალური ნაწილი აღიარებდა მათ უფლებებს, როგორც ეთნიკური უმცირესობისა, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენდა ისეთი პოლიტიკური ლიდერების გაერთიანებას, რომლებიც ემხრობოდნენ სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის უფლება უნდა იყოს დაცული, განურჩველად სქესისა, ეროვნებისა, ეთნიკურობისა და სხვა. ამ დასკვნას განსაკუთრებით ამყარებს შემდეგ განვითარებული მოვლენები. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება მათ შორის თითქმის შედგა, აფხაზებმა ეს შეთანხმება დაარღვიეს და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა აფხაზეთში შეიყვანა ჯარის ნაწილები, თუმცა კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას შეეცადა. ის წინადადებები, რომელიც საქართველოს მთავრობამ შესთავაზა აფხაზ მხარეს, წარმოადგენდა საქართველოს მმართველი მხარის მიერ მათი, როგორც ეთნიკური ჯგუფის უფლებების აღიარებას. მაგალითად - „აფხაზეთის თვითმმართველობა ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს, აფხაზეთის მართვისათვის საჭირო თანხა გაიცემა კრედიტების სახით საქართველოს მთავრობის მიერ და დაიხარჯება აფხაზეთის სახალხო საბჭოს შეხედულებების მიხედვით; აფხაზეთში სოციალურ რეფორმებს გაატარებს

აფხაზეთის სახალხო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, მაგრამ ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით; აფხაზეთის სახალხო ყრილობა მოწვეული იქნება რაც შეიძლება მალე. იგი განსაზღვრავს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებს“ (ბენდიანიშვილი, 2001, 125). საბოლოოდ ეს ხელშეკრულებაც არ იქნა მიღებული აფხაზი მხარის მიერ და საბრძოლო ოპერაციები დაიწყო. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ქართული მხარე მაქსიმალურად ცდილობდა შეენარჩუნებინა პრინციპი - დაეცვა და ეღიარებინა ეთნიკური უმცირესობის უფლებები. რაც ჩვენი ჰიპოთეზის - დამტკიცების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა ასევე ის კომპრომისული ნაბიჯი, რომელიც აკაკი ჩხენკელის მიერ იქნა გაჟღერებული აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით 1918 წლის 9 თებერვლის სხდომაზე. ის პროექტი, რომელიც ჩხენკელის მიერ იქნა წარმოდგენილი აერთიანებდა შემდეგ საკითხებს: „ერთიანი საზღვრების აღდგენა უნდა მომხდარიყო საკუთრივ აფხაზეთით, სოხუმის ოლქის ჩათვლით, მდინარე ენგურიდან მზიმთამდე; ერთიანი აფხაზეთის სტატუსის შემუშავება თვითგამორკვევის პრინციპს უნდა დამყარებოდა და დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ აფხაზეთის პირველ დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა; სხვა ეროვნებებთან ან სახელმწიფოებთან პოლიტიკური სახელშეკრულებო ურთიერთობების გადაწყვეტის შემთხვევაში საქართველოსა და აფხაზეთს შორის წინასწარი მოლაპარაკება უნდა გამართულიყო“. აფხაზებისათვის აღნიშნული მისაღები იყო და 1918 წლის 9 თებერვალს ხელშეკრულებაც გაფორმდა. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ეს იყო ძალიან სწორი დიპლომატიური ნაბიჯი, რაც აფხაზებთან მოლაპარაკებების დაწყებასა და სიტუაციის დარეგულირებას უწყობდა ხელს (ვადაჭკორია, 2001, 222-223). ესეც კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა პოლიტიკა ხორციელდებოდა ეთნიკური უმცირესობებისადმი საქართველოში და მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ერთი მხრივ ცდილობდა ტერიტორიის შენარჩუნებას, მასზე კონტროლის განხორციელებას და თან სამოქალაქო ნაციის ინტერესების დაცვას. დემოკრატიული პრინციპების გამო პოლიტიკური ლიდერები მაქსიმალურად ცდილობდნენ ხისტი

პოლიტიკის ნაცვლად, რბილი ნაბიჯები გადაედგათ და მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ სიმშვიდე საქარველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რაც დაეხმარებოდა მათ სამოქალაქო ნაციის ინტერესების დაცვაში, იმ მიმართულებით, რომ არ ექნებოდა ადგილი არანაირ დაპირისპირებას ეთნიკურ უმცირესობებთან. საბოლოოდ აფხაზები ქართველებთან ერთად საერთო რესპუბლიკის წევრები იყვნენ.

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლიდერების პოზიციებიდან თუ გამოვალთ შესაძლებელია საუბარი სამოქალაქო ნაციონალიზმის საფუძვლებზე, განსაკუთრებით ეს მაშინ, როცა მათი უფლებები და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სტატუსი თუნდაც საქართველოს შემადგენლობაში ყოფნისას წყდება მათთან შეთანხმებით. არ მიიიღება ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რომლებიც მარტო ერთი მხარისთვისაა სარგებლის მომტანი და ფრაზა - „უნდა ვიპოვოთ სხვა რამ პრინციპი, რომელიც სახელმწიფოსთვისაც იქნება მისაღები და თვით სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვისაც იქნება სასარგებლო“ - ზუსტად ამას უსვამს ხაზს, მხედველობაშია მიღებული უმცირესობების საჭიროებები და არა მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესები.

რაც შეეხება საქართველოში მაცხოვრებელ ოსებს 1918 წლის გაზაფხულზე აჯანყება დაიწყეს, რომელიც სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, თავდაპირველად აჯანყებულებმა დაიკავეს ცხინვალი, თუმცა საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა აიღო ქალაქი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ოსების მიერ ანტიქართული მოძრაობა კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საქართველო-სომხეთის ურთიერთობები. საქართველოს სომხეთი ედავებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს და მათ შორის ურთიერთობები გამწვავდა, რაც განპირობებული იყო სომეხი მხარის მიერ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების მიერთების სურვილით. ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 17 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ ადგილი ქონდა ძალიან ცუდ ფაქტს სომხეთის მხრიდან, ისინი ფარულად ესხმოდნენ თავს საქართველოს რესპუბლიკას. ჟორდანიას მიაჩნდა რომ მიუხედავად

სომხეთის მხარის ამგვარი საქციელისა, ქართულ მხარეს მაინც უნდა გამოეჩინა გონიერება მშვიდობიანათ, მოლაპარაკების გზით, კანონის საფუძველზე უნდა მომხდარიყო ამიერკავკასიის ხალხთა შორის ტერიტორიული გამიჯვნა და ყველას უფლებების დაცვა (ბენდიანიშვილი, 2001, 130).

აუცილებელია მოვიყვანოთ მაგალითისთვის „სამუსლიმანო საქართველოსთვის“ ავტონომიის მინიჭების ფაქტი - რომელიც არის ძალიან მკაფიო და ნათელი საბუთი იმ თანასწორუფლებიანობაზე, სამართლიანობასა და დემოკრატიულობის პრინციპებზე აგებული პოლიტიკისა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ატარებდა 1918-1921 წლებში და რომელიც არის მცდელობა საქართველოში სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების. ჯერ კიდევ 1917 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომმა განიხილა საკითხი „სამაჰმადიანო საქართველოში მოქმედებისა და მისი პოლიტიკური სახის გამორკვევის შესახებ“. ამ სხდომაზე მემედ აბაშიძემ, როგორც ამ კუთხის წარმომადგენელმა, წამოაყენა წინადადება რომ „სამაჰმადიანო საქართველო“ მოწყობილიყო კანტონური სისტემით, ამას კატეგორიულად დაუპირისპირდა ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გვაზავა და მან განაცხადა რომ აჭარა მხოლოდ რჯულით განსხვავდებოდა საქართველოსგან, კანტონების იდეა დაღუპავს საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის საკითხს, ამიტომ საჭიროა იმის გააზრება, რომ ყველა საკითხში გარდა სჯულისა, აჭარელი მაცხოვრებლებიცა და დანარჩენი მოქალაქეებიც, ყველანი ერთად იყვნენ ქართველები. „ საჭიროა ერთი იდეა - საქართველოს გაერთიანების. ახლანდელ მომენტში ჩვენს ბაირაღზედ უნდა იყოს დაწერილი - მთლიანი საქართველო“ (ჯანელიძე, 2008, 38-39). ამის შემდეგ, უკვე 1918 წელს, 25 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სამუსლიმანო საქართველოს მიენიჭებოდა ავტონომიის სტატუსი (ჯანელიძე, 2008, 38).

„დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ყველა სარწმუნოება თანასწორია, ყველას უფლება აქვს თავისი სარწმუნოება მტკიცედ დაიცვას, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა სარწმუნოების მოქალაქენი თანასწორი უფლებით სარგებლობენ,

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყველა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს: სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას, თვით მუსულმანი ქართველების წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომელთაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ, ცხოვრებას მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებს, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს“ (ვადაჭკორია, 2001, 242-243). 1919 წლის 11 სექტემბერს ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თბილისში მყოფი ზემო აჭარის დელეგაციისადმი სამუსლიმანო საქართველოს უფლებები - „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, მართვა-გამგეობა დაემყარება ადგილობრივი ხალხის - მუსლიმანების თვითმმართველობის ავტონომიას... შინაურ საქმეებს უძღვება ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეული დაწესებულებანი. უკანასკნელნი განაგებენ სარწმუნოების ყველა საკითხს შარიათის მიხედვით, ადგილობრივ ადმინისტრაციას, სასამართლოს, მიწის საქმეს და სხვას.. ამნაირათ შეერთებული სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველო შეადგენს ერთ მთლიან ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც წინ გაუძღვება ხალხს საუკეთესო მერმისისაკენ“ (ვადაჭკორია, 2001, 242-243). გამომდინარე აქედან აჭარის მაგალითი, სამოქალაქო ნაციონალიზმის არსებობის კარგი არგუმენტია, რადგანაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ნაციონალიზმს იმ პრინციპს, რომელიც გულისხმობს რომ ყველა მოქალაქე არის თანასწორი, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არცერთ რელიგიას არ აღიარებს, ის მაინც არის სამოქალაქო ნაციის სრულუფლებიან წევრი. სამუსლიმანო საქართველოს შემთხვევაში კი მუსლიმი ქართველების უფლებების აღიარება იმ დონეზე, რომ მათ შეეძლოთ საკუთარი მართვა-გამგეობის თვითმმართველობაზე დამყარება, სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური პროცესების სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებთან შეთანხმება. ეს პროცესი კი, საბოლოო ჯამში, მიმართულია იქითკენ, რომ თვითმმართველობის ფონზე განხორციელებულმა აჭარის მმართველობამ, დანარჩენი საქართველოს მართვა-გამგეობასთან ერთად, რომელსაც

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს, შექმნას უკეთესი მომავალი. ყოველ შემთხვევაში, ის რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ ნამდვილად წარმოადგენს ურთიერთშეთანხმებული და არა დაპირისპირებული პოლიტიკის გატარების მცდელობას.

ის პოლიტიკა რომელიც 1918-1921 წლებში ტარდებოდა ქართველი პოლიტიკური ლიდერების მიერ აშკარად ემსახურებოდა უზენაეს პრინციპს - სამართლებრივ საფუძველზე განხორციელებულიყო ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო მართვა-გამგეობა. და ის ლიდერები, რომლებიც მაშინდელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ედგნენ სათავეში, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ჩვენი აზრით, იზიარებნენ სამოქალაქო ნაციონალიზმის არსს და ცდილობდნენ დაეცვათ ის პრინციპები, რომლებიც საჭიროა ამ ტიპის ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისათვის. ყოველ შემთხვევაში მცდელობა მათი მხირდან, რომ არ გადაეხვიათ იმ გზისთვის, რომელიც ქვეყნის განვითარებას ყველა თავისი მოქალაქის უფლებების დაცვის მიმართულებით ითვალისწინებდა, განურჩევლად მათი ეთნიკური მიკუთვნებულობისა, იმ დროისთვის ნამდვილად არსებობდა.

სამოქალაქო ნაციონალიზმი, როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის უფლებების დაცვას მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური რასობრივი თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა. სახელმწიფოს მოქალაქედ ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ცხოვრობს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება ის. საქართველოს მაგალითზე რომ ვთქვათ, დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ საინტერესოა საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებთან დამოკიდებულება, მათ შორის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენენ აფხაზები და მათი ურთიერთმიმართება საქართველოს მთავრობასთან.

„...განაპირა კუთხეების მოწყობა, მეტადრე როდესაც ისინი სხვადასხვა ეროვნებებით არიან დასახლებულნი, ერთი ძნელ საკითხთაგანია თანამედროვე სახელმწიფოთა ცხოვრებაში...“ (ედამფუძნებელი კრება, 1919). „ჩვენი რესპუბლიკა აშკარაა, ანგარიშს უწევს განსაკუთრებულ თვისებებს, რომელიც სოხუმის ოლქს აქვს რესპუბლიკის სხვა

ადგილებთან შედარებით. რესპუბლიკისთვისაც და თვით სოხუმის ოლქისთვისაც ხელსაყრელი იქნება, თუ ეს განაპირა ადგილი, თავისებურ კულტურულ განვითარების გზას დაადგება და რაკი ამ კუთხის მოწყობა არ მოხერხდება ნაციონალური პრინციპის საფუძველზე, უნდა ვიპოვოთ სხვა რამ პრინციპი, რომელიც სახელმწიფოსთვისაც იქნება მისაღები და თვით სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვისაც იქნება სასარგებლო“ (დამფუძნებელი კრება, 1919).

კვლევის ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, იკვეთება სამოქალაქო ნაციონალიზმის ნიშნები, რომლებიც თუნდაც ზემოთ მოყვანილი აფხაზეთის საკითხის გარშემოც ნათელია, მაგრამ ასევე მთავარი საყურადღებო მომენტებია დამოუკიდებლობის აქტი და 21 წლის კონსტიტუცია. მართალია ნაშრომის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კონსტიტუცია უფრო მეტად დასკვნითი აქტია სამოქალაქო ნაციონალიზმზე საუბრისას, რადგან მიღებულ იქნა საქართველოს გასაბჭოებამდე ცოტა ხნით ადრე და რეალურად ვერ მოახერხა ემუშავა დიდხანს, მაგრამ მაინც სამართლიანი იქნება აღინიშნოს, რომ ის მთელი რიგი თავები, მუხლები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, ეთნიკური უმცირესობების საკითხებს, მოქალაქეების თანასწორობას კანონის წინაშე და ზოგადად კანონის უზენაესობის თემას, არაა სადაო, რომ მკაფიოდ წარმოაჩენს სამოქალაქო ნაციონალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რის საფუძველზეც ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა.

2.3 წინააღმდეგობები და განსხვავებები 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს შორის

ქვეთავი შეეხება განსხვავებებს, რომლებიც არსებობდა ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატებსა და მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალის-ფედერალისტებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა სოციალ-დემოკრატებთან, როგორც მთავარ პოლიტიკურ ძალასთან არსებობდა წინააღმდეგობები ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტების მხრიდან, არამედ თავად ამ ორ, უკანასკნელ პარტიას შორის იყო სადაო საკითხები წამოჭრილი. ძირითადად ყურადღება გამახვილებული

გვაქვს ამ სამ პარტიაზე იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენდნენ მთავარ პოლიტიკურ ჯგუფს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ქმნიდნენ მაშინდელ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცდილების არ ქონის საფუძველზე.

ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ ისინი, ვინც საკუთარ თავს ქართველ ნაციონალისტებს უწოდებდნენ და უარყოფდნენ მარქსისტულ მოძღვრებას. მარქსიზმთან და სოციალ-დემოკრატიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის თანხმობა სუფევდა, მაგრამ ფედერალისტები, რომლებიც სოციალისტებიც იყვნენ ეროვნულ-დემოკრატთა „ზეკლასობრივ პლატფორმას“ ვეღარ ეგუებოდნენ და ცდილობდნენ მხარდაჭერა მოეპოვებინათ დაბალ სოციალურ ფენებში (შველიძე, 1993, 251). სოციალისტ-ფედერალისტები ეროვნულ საკითხშიც დაშორდნენ ეროვნულ-დემოკრატებს და სოციალ-დემოკრატების მსგავსად კავკასიის ფედერაციას უჭერდნენ მხარს. მართალია ეროვნულ-დემოკრატების მსგავსად სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიის იდეას უჭერდა მხარს, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატები კავკასიის ფედრაციის სრული წინააღმდეგნი იყვნენ და საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს (შველიძე, 1993, 255).

ეროვნულ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარ თავს, ზემოთ როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ნაციონალისტებს უწოდებნენ, სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს და თავიანთი „წითელი დროშის ქვეშ გააერთიანეს მშრომელი ხალხი, ეს მაშინ, როდესაც ნაციონალისტებს ბორძიკით მისდევდა უკან თავადაზნაურობა, ხუცობა, სტუდენტობა და ინტელიგენცია“ (შველიძე, 1993, 275). ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს სწორად ჩამოეყალიბებინათ პოლიტიკური საკითხები და სწორი აქცენტები დაესვათ. ამაში ვგულისხმობთ მაგალითად მიწის საკითხს, როდესაც დამფუძნებელი კრების 11 აპრილის სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო დაუსახლებელი მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ საბოლოოდ მომხდარიყო ამ დაუსახლებელი და აუთვისებელი მიწების გამოყენება საზოგადოების მიერ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი

კრების მიზანი იყო თავიდან აეცილებინა ის „ათასგვარი ხრიკები რომელთა წყალობითაც ცარიელი მიწები დაქუცმაცდებიან, ნაწილ-ნაწილ გაიყიდებიან და სხვ“ (დამფუძნებელი კრება, 1919). ხოლო ეროვნულ-დემოკრატები რევოლუციის პერიოდშიც ზეკლასობრივ პოზიციებზე დარჩნენ, თავგამოდებული მომხრეები იყვნენ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის. „შეიძლება თუ არა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე?- კითხულობდა ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი და არამარტო უარყოფითად პასუხობდა კითხვას, უტოპიადაც მიაჩნდა სოციალისტური შეხედულება კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ“ (შველიძე, 1993, 250).

განსხვავებული პოზიციები იყო მაგალითად, აფხაზეთის საკითხთანაც დაკავშირებით თავად სოციალ-დემოკრატთა გუნდის შიგნით. დამფუძნებელი კრების 1920 წლის 7 ივლისის სხდომაზე აფხაზეთის ავტონომიასთან დაკავშირებით მსჯელობისას პ. საყვარელიძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ დამოუკიდებლობას ან ფართე ავტონომიას ვერავის მისცემდნენ. უსათუოდ უნდა ყოფილიყო დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უნიტარული ხასიათი. ავტონომიის ფარგლები არ უნდა გასცილებოდა ერობის უფლებებს. ხოლო ავტონომიის ნაცვლად აფხაზებისთვის ერობის უფლების მიცემა ნათაძეს შეუძლებლად მიაჩნდა, მისი აზრით ეს სიტყვის გატეხვა იყო და მიიჩნევდა, რომ აფხაზებისთვის დაპირებული ავტონომია უნდა მიენიჭებინათ (ვადაჭკორია, 2001, 227).

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების პერიოდში აკაკი ჩხენკელი და ნოე რამიშვილი ცდილობდნენ შეექმნათ ცენტრისტული კოალიციური მთავრობა, ამიტომაც სურდათ ილია ჭავჭავაძის ნამდვილი მიმდევრები - ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა და ივანე ზურაბიშვილი შეეყვანათ მთავრობაში. მათ შეეძლოთ საქართველოში ლიბერალური ეკონომიკის შექმნა. მაგრამ ამას დაუპირისპირდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „ექსტრემისტი წევრები“, რაც შეფასებულია, როგორც ანტიქართული ქმედება (რამიშვილი, 16). მთავრობის შიგნით არსებულ დაპირისპირებაზე საუბრისას აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში არსებობდა მენშევიკური პარტიის დიქტატურა, რომლის პროგრამა, ნოე ჟორდანიას იდოლოგიის მიხედვით კლასთა ბრძოლისა და ინტერნაციონალიზმის სოციალისტურ თეორიებს ეფუძნებოდა და იყო მეორე მიმართულება, ნოე რამიშვილის მეთაურობით. მეორე მთავრობაში ნოე რამიშვილის შესვლის მიზნად დასახელებულია ის, რომ ის ცდილობდა მთავრობისათვის შეენარჩუნებინა რაიმე ეროვნული ხასიათი, სხვა ეროვნულად განწყობილ მინისტრებთან ერთად. ჟორდანია-რამიშვილის ტანდემი მოგონილი იყო და რეალურად არსებობდა ჟორდანია-ჯუღელის დუეტი. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნოე რამიშვილს დამფუძნებელი არჩევნების წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია ესტუმრა. მათ რამიშვილს შესთავაზეს პარტიის თავჯდომარეობა, მათ იმედი ქონდათ, რომ რამიშვილის მეთაურობით არჩევნებს მოიგებდნენ, თუმცა ნოე რამიშვილისგან ამ შეთავაზებაზე უარი მიიღეს (რამიშვილი, 23-27). ფაქტია, რომ ნოე რამიშვილი, როგორც ეროვნული კურსის გამტარებელი მთავრობაში და ნოე ჟორდანიას დამბალანსებელი თავისი იდეოლოგიით უფრო ახლოს იდგა ეროვნულ-დემოკრატებთან, მაგრამ მან ამჯობინა სოციალ-დემოკრატებთან ერთად გაეგრძელებინა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა. მიუხედავად იმ შიდა დაპირისპირებებისა და უთანხმოებებისა, რომელიც არსებობდა მაშინდელ მთავრობაში, ფაქტი ერთია, რომ ყველამ ერთად, მოახერხეს და ჩამოაყალიბეს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუციაც უზრუნველყოფდა ქალებისათვის თანაბარი ხმის მიცემას, ადგენდა 8 საათიან სამუშაო გრაფიკს, გააუქმდა სიკვდილით დასჯა, კონსტიტუციით დადგენილი უფლებებით მოქალაქის ბინა ხელშეუვალი იყო, ეროვნულ უმცირესობებს ჰქონდათ კულტურული ავტონომია და თვითმმართველობა და ამისთვის დახმარება ეძლეოდათ (რამიშვილი, 24). ეს ყველაფერი კი მოხერხდა პირადი თუ პარტიული შეუთანხმებლობის კვალდაკვალ და რეალურად ნათელი დადასტურება იმის, თუ როგორი იყო მცდელობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეექმნათ სამოქალაქო ნაციონალიზმი.

2.4 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების პოლიტიკური პორტრეტები

ამ ქვეთავში გაანალიზებული გვექნება იმ ძირითადი პოლიტიკური ელიტის მიერ გაკეთებული განცხადებები და გამოსვლები, რომლებიც მაშინ ქმნიდნენ პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში. ეს დაგვეხმარება პასუხი გავცეთ ჩვენს საკვლევ კითხვებს და ვაჩვენოთ მკითხველს თუ როგორ ესმოდათ მაშინდელ პოლიტიკოსებს ერის მნიშვნელობა და როგორ მიყავდათ მსჯელობა ამ საკითხის გარშემო. გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერ საზოგადოებას ჭირდება ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი, ვინც მოახდენს მასების მობილიზაციას, ჩვენი საკვლევი პერიოდისას ეს პირები არიან პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ისინი ვინც გვევლინებიან იმ ელიტების როლში, რომლებიც მასების აზროვნებასა და ყურადღებას მიმართავენ თავიანთი სურვილისამებრ შესაბამისი მიმართულებით. გარდა კონკრეტული ლიდერებისა, საუბარი გვექნება პოლიტიკურ პარტიებზეც, იმ ნაწილზე, ვინც მეტად აქტიურად მონაწილეობდა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები, როგორც პარტია იყო მთავარი ძალა ამ პერიოდის პოლიტიკაში და მას ყავდა ბევრი გამორჩეული ლიდერი, მათ შორის ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ნოე ჟორდანია იყო მაინც ყველაზე გამოჩენილი/გამორჩეული ფიგურა მათ შორის, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტ პასუხისმგებლობასაც იღებდა საკუთარ თავზე.

ნოე ჟორდანია იყო სოციალ-დემოკრატთა ლიდერი, პირი, რომელიც როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, 1900-იანი წლების დასაწყისში სულაც არ უჭერდა მხარს საქართველოს ავტონომიის იდეას, თუმცა არც ეწინააღმდეგებოდა მას. მაგრამ მნიშვნელოვანია ის თუ რატომ იყო ჟორდანია ამ პოზიციაზე. 1905-1907 წლებში ნოე ჟორდანიას ქონდა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში თავისი ადგილი და ამ დროს ის საქართველოს ავტონომიის საკითხს ვერ დაუჭერდა მხარს, „ეს ნიშნავდა კონფლიქტს არა მარტო ლენინსა და ბოლშევიკებთან, არამედ პლეხანოვსა და მენშევიკებთანაც. ე.ი. მთელ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. ეს კი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს აღარ შეეძლო“. თანაც ნოე ჟორდანია თუ თავის პოზიციებს დაკარგავდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, მისი გავლენა საქართველოშიც შესუსტდებოდა, რაც პირდაპირ ნიშნავდა საქართველოში ბოლშევიზმის აღმავლობას (გურული, 1999, 66). აღსანიშნავია ისიც, რომ ნოე ჟორდანია საქართველოს ავტონომიის იდეის განხორციელებას იმ პერიოდისთვის შეუძლებლად მიიჩნევდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამიერკავკასიის ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის დარღვევის სიძნელე და მისი უარყოფითი შედეგები ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის უპირველესი იყო. ნოე ჟორდანიას ასახელებენ როგორც ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებელს და მისი პოლიტიკის მემკვიდრეს. სწორედ ამიტომ ის ფაქტი, რომ ნოე ჟორდანია 1918 წლის მაისამდე - თითქმის, ინარჩუნებდა რუსეთთან კარგ ურთიერთობებს, ეს ემსახურებოდა არა მისი პიროვნული კეთილდღეობის შენარჩუნებას, არამედ საქართველოსა და ერის მომავლისათვის დაგეგმილი და სწორად წარმართული პოლიტიკის ნაწილი იყო. იმ პოლიტიკის, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ დაუდო სათავე (გურული, 1999, 72-73).

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას ფიგურას, როგორც სამოქალაქო ნაციონალიზმის გამტარებელს, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უწყობდა ხელს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ მის მოგონებებზე, რომელიც გამოცემულია წიგნში, სახელწოდებით - *ჩემი წარსული.* ის ნაციონალური პოლიტიკა, რომელსაც სოციალ-დემოკრატები თავად ნოე ჟორდანიას თაოსნობით ატარებდნენ ნაციონალური უმცირესობებისადმი, გამომდინარეობდა მათივე პოლიტიკური დოქტრინიდან. „სოციალ-დემოკრატიას იმით ქონდათ გავლენა საქართველოში, რომ ყველა ერის ინტერესებს თანასწორათ ვიცავდით, ჩვენთვის არ იყო ელინი და ბარბაროსი, ყველას ელინებათ ვრაცხავდით. აუცილებელი შეიქნა შინაგანი ზავი, ერთა უმცირესობის დედა-ერთან, ქართველობასთან სოლიდარობა, ჭირში და ლხინში ერთად ყოფნა, რაიცა შესრულებულ იქნა არ ცარიელი პროპაგანდით, არამედ შესაფერი უფლებების მინიჭებით, პოლიტიკურათ, კულტურულათ. ეკონომიკურათ სავსებით გათანასწორებით“ (ჟორდანია, 1958, 151). დამოუკიდებლობის გამოცხადებისას შესავალ სიტყვაში ნოე ჟორდანიამ

ყურადღება გაამახვილა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებზე, მათ უფლებამოსილებაზე და დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი ხელისუფლების ურთიერთობა მათთან ასე ჩამოაყალიბა: „ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირსობანი იქნებიან ისეთივე უფლებამოსილნი, როგორიც იქნება ჩვენი ქვეყნის ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა“, ეს იყო ხაზგასმა იმის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ გაატარებდა რადიკალურად ნაციონალისტურ პოლიტიკას და არ დაუპირისპირდებოდა ქვეყნის შიგნით მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, პირიქით ექნებოდა მათთან სამართლიანი და თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ურთიერთობები (ვადაჭკორია, 2008, 151). გამომდინარე აქედან, ნათელია, რომ ნოე ჟორდანიას ფიგურა, ამ შემთხვევაში ცალკე აღებული, პირდაპირ უკავშირდებოდა საქართველოს მომავალი განვითარების გამო სამოქალაქო ნაციონალიზმს და ცდილობა ეღიარებინა, შეენარჩუნებინა და დაეცვა საქართველოს ფარგლებში მცხოვრები ყველა უმცირესობის უფლება.

1918 წლის 1 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ექვსი თვის აღსანიშნავად ნოე ჟორდანია გამოვიდა სიტყვით ეროვნული საბჭოს სხდომაზე. ამ სიტყვაში ძალიან კარგად ჩანს ნოე ჟორდანიას, როგორც პოლიტიკური ფიგურისა და როგორც უბრალო მოქალაქის აზრი დემოკრატიისა და თავისუფლების შესახებ და რომელიც ზუსტად აჩვენებს მისი პიროვნების მახასიათებელ თვისებეს, თუ როგორ ესმის მას ამ ორი პრინციპის - დემოკრატიისა და თავისუფლების მნიშვნელობა - „ერთი წლის რევოლუციის ქარტეხილმა აქ გამოსჭედა ხალხი თავისთავის პატრონი და თავისთავის მმართველი, აქ, მხოლოდ აქ აღმოჩნდა დემოკრატია ისეთი ძლიერი, რომ არ გადასცდა თავის ისტორიულ გზას და არ აჰყვა არც ერთ იმ გზებს, რომელნიც გამოჩნდნენ შემდეგ თვეებში და რომელთაც გამოიწვიეს რუსეთის აფორიაქება. თავისუფლება მხოლოდ ჩვენში არ აღმოჩნდა მტერი წესიერებისა, წესიერებამ მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ფესვები თავისუფლებისა. მოსპეთ ეს თავისუფლება და გაჩაღდება დიდი არევ-დარევა. მოსპეთ წესრიგი და მოისპობა თავისუფლება. საქართველოში აი ამ ორი ელემენტის შედუღება, თავისუფლება და მოქალაქეობრიი წესრიგი ქმნის ჩვენს ხალხისაგან პოლიტიკურ

დემოკრატიას და აი სწორედ ამ საბუთით ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ უკვე ხალხი ევროპული და დემოკრატიული“ (კალანდაძე, 2000, 12). ეს ნაწყვეტი წარმოადგენს გარკვეულ შეჯამებასაც იმ 6 თვისა, რომელიც ნოე ჟორდანიამ სოციალ-დემოკრატებთან, პირველ რიგში, და სხვა პარტიებთან ერთად გაიარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობისას.

ის ფაქტი, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატები მაინც ინარჩუნებდნენ ლოიალურ განწყობილებებს რუსეთისადმი და არ ფიქრობდნენ რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტაზე ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე, განპირობებულ იყო იმითაც, რომ კიდევ ორი სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი ლიდერი იკავებდა რუსეთში და მის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ ადგილს. ასეთები იყვნენ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი. კარლო ჩხეიძე იყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარე, 1917 წლის ივნისიდან კი სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ ის არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ. ირაკლი წერეთელი კი რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრი იყო. ეს ფაქტორები ქმნიდა ილუზიას, რომ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს რაიმე ავტონომიური ფორმით დარჩენა შეიძლებოდა მომხდარიყო (სილაგაძე, გურული, 2000, 18). რეალურად ესენი იყვნენ ის ლიდერები, რომლებმაც რუსეთში ბოლშევიკური მთავრობის მოსვლის შემდეგ გადაწყვიტეს საქართველოს სრულად გამოყოფა მისგან და სამივე პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებიც წამყვან ძალას ქმნიდნენ 1917 წლისთვის - სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა არ სცნეს საბჭოთა რუსეთის მთავრობა - ბოლშევიკური ძალა (სილაგაძე, გურული, 2000, 26). ორივე პოლიტიკოსი რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, შემდგომში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობასა და გაძლიერებაში, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე იყო 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების თავჯდომარე, შესაბამისად ის სოციალ-

დემოკრატიულ გუნდთან ერთად იღებდა იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც მიმართული იყო იმ ტიპის სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, რომელიც დაიცავდა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებას და ექნებოდა მცდელობა აეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო, სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებზე.

კიდევ ერთი ლიდერი სოციალ-დემოკრატების იყო აკაკი ჩხენკელი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში და არ იშურებდა ენერგიას სწორი პოლიტიკის გატარებისთვის. მისი საიდუმლო წერილები, რომლებსაც ის თბილისში ნოე რამიშვილთან აგზავნიდა აერთიანებს იმ მნიშვნელოვან ხაზებს, რომლებიც საჭიროა მისი როლის წარმოსაჩენად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამდე ოსმალეთის მიერ განხორციელებული აგრესიული ნაბიჯები ამიერკავკასიის დასაპყრობად, მიუხედავად, იმისა, რომ ბათუმში საზავო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაინც არ წყდებოდა. აკაკი ჩხენკელს თურქეთის მიერ შემოთავაზებული პირობები არ მოსწონდა რადგან, ამ ზავის დადების შემთხვევაში საქართველოს შორდებოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, საქართველოს საშინაო საქმეებში ოსმალები ჩაერეოდნენ, საქართველოს რკინიგზა ომის პერიოდში ოსლმალების ხელში გადადიოდა. გამოსავალი აკაკი ჩხენკელისთვის იყო ბრესტის საზავო პირობების წინ წამოწევა და თან ამაში დარწმუნების საფუძველს გერმანელების მხრიდან განხორციელებული ნაბიჯები აძლევდა, რომლებიც სრულად ჯდებოდა ზავის პირობებში. „მე დავიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით - როგორც გერმანიასთან ისე თურქეთთან, რომ ვეცადო საქართველო მაინც გამოვიყვანო ცეცხლის ალიდან“, ის ამავდროულად მოუწოდებდა ნოე რამიშვილს შეეჩერებინა პრესაში გერმანელების მიმართ დაბეჭდილი უარყოფითი სტატიები, რადგანაც გერმანია განიხილებოდა როგორც საქართველოს მფარველი და თანაც „გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზედაც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე“, გარდა ამისა აკაკი ჩხენკელი დანაშაულად თვლიდა დაგვიანებას და რამიშვილს მოუწოდებდა საქართველოს დამოუკიდებლობა დროულად გამოეცხადებინა - „საქართველოს დამოუკიდებლობა, აი პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას...

თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ. საჭიროა გამბედაობა, ნუ აქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობებით გამსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“ (ვადაჭკორია, 2008, 143-145). აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური პორტრეტი ხაზს უსვამს მის თავდადებასა და მონდომებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბების საქმეში და თანაც იმ კუთხით, რომ ყველანაირ ძალადობას ამჯობინებს მოლაპარაკებებსა და მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს.

საინტერესოა აკაკი ჩხენკელის, როგორც პოლიტიკური ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადება დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მარტის სხდომაზე. აკაკი ჩხენკელს მიაჩნდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს კულტურული განვითარებისათვის ჭირდებოდათ საჯარო უფლებები - „სახელმწიფო თავის უფლებას უთმობს სხვას, მაგრამ სახელმწიფოს... აქვს კონტროლის უფლება. ჩვენი ცხოვრების ნორმალურად განვითარების ინტერესი მოითხოვს ვაღიაროთ საჯარო უფლებრივი ორგანოების საჭიროება. ეროვნულ უმცირესობებს ყველაფერი უნდა მივცეთ, რაიც შესაძლებელი იქნება და სახელმწიფოს არ ავნებს“ (ვადაჭკორია, 2001, 215). ამ განცხადებიდან კარგად ჩანს აკაკი ჩხენკელის პირადი შეხედულება და აზრი ეროვნულ უმცირესობებთან მიმათებაში და ჩვენი აზრით, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპების ერთ-ერთი დამცველი 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო სწორედ აკაკი ჩხენკელი.

როგორც პარტია, სოციალ-დემოკრატები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდნენ საზოგადოებაში მხარდაჭერების მოპოვების მხრივ. აუცილებელია აღინიშნოს მათი მოზომილი დამოკიდებულება მეზობელი ერების მიმართ. 1919 წლის 15 ივლისის ერთობის ნომერში სათაურით - *ისევ ჩვენ და სომხები* გამოქვეყნებულია შემდეგი - ჩვენ ვიცით და ვინც ამიერკავკასიის ერთა კონფერენციას თვალყურს ადევნებდა შეატყობდა, რომ სომხეთის უპირველეს ყოვლისა აინტერესებს საზღვრების საკითხი და თავისი

ტერიტორიის საბოლოოდ გამიჯვნა.ჩვენ უნდა წავიდეთ ამ საკითხის გამოსარკვევათ. ურთიერთობის არსებითი ინტერესების გაგებით და ერთმანეთის დათმობით, შეუძლებელი არაა ამ საკითხში შეთანხმება (ისევ ჩვენ და სომხები, 1919). 1919 წლის იანვრის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, დამფუძნებელი კრების არჩევნების მოახლოებასთან ერთად მოემზადებინათ პარტიის საარჩევნო პლატფორმა. ეს დოკუმენტი, რომელიც გაზეთმა „ერთობამ“ გამოსცა, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჩვენი კვლევის ფარგლებში იმდენად, რამდენადაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ნაციონალიზმის იმ პრინციპს, რომელიც გულისხმობს ყველა მოქალაქის თანასწორობას განურჩევლად მისი ეთნიკური თუ სხვა სახის მახასიათებლისა. აღნიშნული დოკუმენტი „სოციალ-დემოკრატიის ძირითად მიზნად ხალხის სრულ ბატონობას, დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში განურჩევლად ეროვნებისა, ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობით აღჭურვას, სოფლის გლეხობისა და მუშათა უფლებების დაცვას, შრომის კანონის დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვასა და სრული დემოკრატიზმის განხორციელებას ისახავდა“ (ვადაჭკორია, 2001, 130-131). სოციალ-დემოკრატების ამ პროგრამის ძირითადი საკითხები ზუსტად ასახავდა იმ რეალურ საჭიროებებს, რომელიც იმ პერიოდის საქართველოში იყო და თანაც ფართო მასებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენდა. გარდა ამისა, პოლიტიკა, რომელსაც პარტია ატარებდა ქვეყნის შიგნით ეხებოდა, რათქმაუნდა, ისეთ საკითხებსაც, როგორიც იყო კომფლიქტური სიტუაციებიდან გამოსავლის ძიება. ერთი ასეთი შემთხვევა ეხება სომხების მიერ ჯავახეთში დაწყებულ ანტიქართულ საქმიანობას, რომელსაც სათავეში დაშნაკცუთუნის პარტია ედგა. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში არჩევნების ჩატარებამდე დახარჯეს დიდი ძალა და ენერგია, რათა მოეპოვებინათ სამართლიანი გამარჯვება მხარდამჭერთა დიდი რაოდენობის შესაბამისად. მათ დამატებით თანხებიც გამოყვეს ამ არჩევნებამდე აღნიშნული მაზრებისთვის და მოხდა ის, რაც იყო რეალური დაგვირგვინება ამ წინასწარ დაგეგმილი და სწორად წარმართული პოლიტიკისა. „ახალციხის მაზრის 35 ათასი ამომრჩევლიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ათასმა. აქედან 24 ათასმა ხმა

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მისცა. რაც შეეხება ახალქალაქის მაზრას, 25 ათასი ამომრჩევლიდან 13 ათასმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მისცა ხმა, ხოლო 7 ათასმა დაშნაკცუთუნის პარტიას“, ეს იმ პირობებში როცა ერევნის მთავრობა არწმუნებდა ყველას, რომ ჯავახეთი მათი საკუთრებაა და იქ მცხოვრებ სომეხთა უმრავლესობას არ სურდა საქართველოსთან ყოფნა. „არჩევნებმა დაამტკიცა, რომ თუ მთელი მაცხოვრებლები არა ჯავახეთის ხალხის ორი მესამედი საქართველოს ღვიძლი შვილებია. ამიერიდან ერევნის მთავრობამ თავი უნდა დაანებოს უსაფუძვლო პრეტენზიებს, უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ცდა ჯავახეთის შეერთებისა არის მიუტევებელი ავანტიურა“ (ვადაჭკორია. 2001, 132). სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა და გაიმარჯვა ამ მაზრებში დამაჯერებლად და თან ეს იმ ფონზე, როცა აქტიურად ხდებოდა მეზობელი სომხეთიდან სხვადასხვა მიზანმიმართული ანტიქართული ქმედებების განხორციელება. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს გამარჯვება, რომელიც მოიპოვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გათანაბრებული იყო ქვეყნის საერთო წარმატებასთან და არ უკავშირდებოდა მხოლოდ მათ პირად ინტერესებს, გავლენის შენარჩუნებისა და პოზიციების განმტკიცების მიზნით. „ეს წარმატება ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა და იგი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნებისთვის ხელჩასაჭიდ მძლავრ ბერკეტად გამოიყენა (ვადაჭკორია, 2001, 132).

რაც შეეხებათ სოციალისტ-ფედერალისტებს, დამფუძნებელი კრების წინ, მათ გამოაქვენეს მოწოდება, რომელიც წარმოადგენდა მათ წინასაარჩევნო პროგრამას. „ვეცდებით მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული, სახალხო რესპუბლიკა, სადაც დაცული იქნება სრული თავისუფლება სიტყვის, წერის, სინდისის, კრების, გაფიცვების; ვეცდებით განვამტკიცოთ საქართველოში ხალხური წარმომადგენლობითი მმართველობა. ფართო უფლება-კომპეტენციით აღვჭურვავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, კიდევ მეტ უფლებას მოიპოვებენ აფხაზეთი და სამაჰმადიანო საქართველო. ისინი ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს მიიღებენო“ (ბენდიანიშვილი, 2001, 148). მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ-ფედერალისტების ამ მოწოდებაში არ ჩანს რაიმე ისეთი ნათქვამი, რაც შელახავს და წინააღმდეგ იქნება

მიმართული დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებისადმი, თანაც როცა ისინი ყურადღებას ამახვილებენ ავტონომიაზე და თვითმმართველობის უფლებებზე აფხაზებისა და სამაჰმადიანო საქართველოსთვის, მაინც აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ მათი ეს პროგრამა მეტწილად უტოპიური იყო და შეიძლება პარტიის წევრებისგან ბევრს ის სურვილიც ქონდათ, რომ „სოციალიზმის მიმზიდველი იდეა წაერთმია სოციალ-დემოკრატიისათვის, მისი მეშვეობით გაეზარდა თავის მომხრე ამომრჩეველთა წრე“ (ბენდიანიშვილი, 2001, 149). მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტ-ფედერალისტები არ იყვნენ სოცილ-დემოკრატების მსგავსად ძლიერი პარტია და თანაც მმართველ ორგანოებში ძირითად ძალასაც ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ, ჩვენი კვლევის პერიოდიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საჭირო იყო სოციალისტ-ფედერალისტების პოლიტიკური მიმართულების მეტნაკლებად წარმოჩენა, რადგან ისინი სხვა პარტიებთან ერთად წარმოადგენდნენ 1918-1921 წლების დემოკრატიულ რესპუბლიკას და თანაც იგივე ბენდიანიშვილი აბობს, რომ მიუხედავად უტოპიური განცხადებებისა, ის წინასაარჩევნო პროგრამა, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ავტორის აზრით, ასახავდა პარტიის წევრთა უმრავლესობის შინაგან რწმენას (ბენდიანიშვილი, 2001, 148).

და ბოლოს, რაც შეეხებათ ეროვნულ-დემოკრატებს, ისინი არ იყვნენ წინააღმდეგნი ნოე ჟორდანიას კანდიდატურის, რომელიც 1919 წლის 21 მარტს არჩეულ იქნა მთავრობის თავჯდომარის პოსტზე, მაგრამ მათ არ მოსწონდათ ის მინისტრთა კაბინეტი, რომელიც ჟორდანიამ წარმოადგინა. მთავრობის დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ 21 მარტის სხდომაზე, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი, სპირიდონ კედია გამოვიდა სიტყვით და თქვა, რომ „არასოდეს ასეთი სიმკაცრით არ გამოვლენილა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ დამფუძნებელ კრებაში 120-ზე მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს ასაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლები და მეთოდი ვიხმაროთ, ეს გარემოება გვიჩვენებს რომ სურვილი და დიდი რწმენა უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად და სინამდვილის გარდასაქმნელად“, ამის შემდეგ სპირიდონ კედიამ ისაუბრა მთავრობის შემადგენლობაზე,

რომელიც არსებითად შეცვლილი არც იყო, მისი აზრით, სოციალ-დემოკრატები იყო პარტია, რომელსაც არასოდეს ჰქონია მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მათ გარემოების ძალდატანებთ ჩაიბარეს ქვეყნის მმართველობის ტვირთი, ამიტომ გასაკვირი არ იყო მისთვის, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ბევრ შეცდომას უშვებდნენ და ვერ შეძლებდნენ ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ააშენებდა ჭეშმარიტად ეროვნულ სახელმწიფოს (ბენდიანიშვილი, 2001, 159-160).

3. ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, დემოკრატია და ეთნიკური უმცირესობების დაცვა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობა 1918 წელს მისი ეროვნული საწყისებიდან უნდა მომხდარიყო და თანაც ისე უნდა განხორციელებულიყო ეს, რომ მისი შეთავსება მომხდარიყო დემოკრატიის პრინციპებთან და მრავალეთნიკური საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოდ მშენებლობის პროცესთან.

დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია იცავს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას. ერის სუვერენობისა და დამოუკიდებლობის დაცვა, ინტერნაციონალური ბრძოლაა, სოციალ-დემოკრატიის მიზნისკენ გზა გაივლის აუცილებლად დემოკრატიაზე და ამიტომ დემოკრატიის ბატონობა, სრულყოფა და მისი დაცვა სოციალ-დემოკრატიის დიადი საქმეა, რადგანაც ეროვნულ სახელმწიფოშია შესაძლებელი დემოკრატიზმის განმტკიცება და მისი ბატონობა. საქართველო წარმოადგენს ეროვნულ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარ ეროვნულ უმცირესობებს დიდ უპირატესობას ანიჭებს, და თანაც სახელმწიფოს შემადგენელი სამი ელემენტი: ტერიტორია, ხალხი და მთავრობა ქართულია, ეროვნულია და რადგანაც ეროვნული სახელმწიფოსადმი მისწრაფება იწყება თანამედროვე სახელმწიფოებრივი დემოკრატიისადმი მისწრაფებით და მჭიდროდაა მასთან დაკავშირებული, აშკარაა სრული სიჯანსაღე საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკისა (ნოზაძე, 2013, 12). ვიქტორ ნოზაძის ეს ნაშრომი 1919 წელსაა დაწერილი და იმ პერიოდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოდგენილია, როგორც ერი-სახელმწიფოს მშენებლობა და თანაც ავტორი წარმოადგენს დასაბუთებულ ახსნას იმისას, რომ სრულყოფილი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება მხოლოდ ერი-სახელმწიფოს არსებობისასაა შესაძლებელი (ნოზაძე, 2013, 2). ჩვენს საკვლევ კითხვებს აღნიშნული ნაშრომი ეხმიანება იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს კარგად ერის მშენებლობის პროცესს და იმ დინამიკას აღწერს რომელიც მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებაში არსებობდა.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისკენ და შეეცადნენ შეეხამებინათ ერთმანეთისთვის ეროვნული და ინტერნაციონალური. სოციალ-დემოკრატიული პარტია ქადაგებდა და ახორციელებდა ცხოვრებაში ძმობასა და ერთობას და ხალხთა შორის სოლიდარობის იდეას, ებრძოდა ყველანაირ ნაციონალურ შუღლს, მათ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ყველა ერის დემოკრატიას სურს ერთიანი, ინტერნაციოანლური ერთობა (კაჭარავა, დაუშვილი, 2012, 17).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადია ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი ყველანაირად ცდილობდა ეროვნულის შერწყმას დემოკრატიის პრინციპებთან და ერის უმრავლესობის უმცირესობებთან დაკავშირებას, მეორე საკითხია როგორ გამოდიოდა ეს, ან საერთოდ მიღწეულ იქნა თუ არა მიზანი, ამაზე სხვა თავებშიც ვისაუბრეთ. მაგრამ მთავრი არის ის, რომ ჩვენი ნაშრომის სათაურს - სამოქალაქო ნაციონალიზმის ფორმირების მცდელობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩვენი აზრით, ზუსტად მიესადაგება ამ თავში მოყვანილი მაგალითები.

3.1 დემოკრატიის საკითხი და სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება

სოციალ-დემოკრატები გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილ სტატიაში *დამოუკიდებლობის დაცვა* წერენ, რომ „ყოველი გარეშე ძალა, რომელიც ჩვეში გაბატონებას მოისურვებს, უნდა დაეყრდნოს ან დემოკრატიას, ან ჩვენი ცხოვრების გარდამავალ ყოფილ გაბატონებულ წრეებს. ვისაც დემოკრატიისათვის კეთილი სურს, ის ამ დემოკრატიის ნება-სურვილს უნდა ახორციელებდეს. ჩვენს დემოკრატიას არავინ მოუწვევია გარედან სამოქმედოთ, რადგან თვითონ შესწევს ძალა და უნარი საკუთარი ძალღონით აკეთოს საქმე (დამოუკიდებლობის დაცვა, 1919). მნიშვნელოვანი საკითხია მმართველი ჯგუფის დამოკიდებულება და ხედვა რუსეთთან ურთიერთობის მხრივ. საქმე ისაა, რომ თუ თავდაპირველად, ის პირები, რომლებმაც შექმნეს 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, წარმოადგენდნენ რუსეთის გარკვეული ინტერესების

დამცველებს, მანამ სანამ 1917 წელს არ მოხდა რუსეთში რევოლუცია და მისი დემოკრატიული საწყისები საბოლოოდ არ დასამარდა. ამაზე თემის შესავალ ნაწილშიც გვქონდა საუბარი. ეხლა საინტერესოა პარალელის გავლება იმ ნაწილზე, სადაც იკვეთება ერთი მხრივ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიულობის განსაზღვრისას მთავარ კრიტერიუმს და მეორე მხრივ, რუსეთის თვითმპყრობელური ინტერესები. სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას თავიდანვე თავიანთ იდეალად არ ისახავდნენ, მაგრამ იმ პერიოდში მოპოვებული დამოუკიდებლობა, მათთვის არის მთავარი ღირებულება, რომელიც აუცილებლად საჭიროებს რეფორმებს. დამოუკიდებლობა აუცილებლად დემოკრატიის საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდეს და მათ დემოკრატია ესმით, როგორც ადამიანის უფლებების დაცვა და პატივისცემა. ნათელია, რომ იმ პერიოდის პოლიტიკური ლიდერები იყვნენ ის პირები, რომლებიც ევროპულ ღირებულებებს იზიარებდნენ და ევროპაში არსებული სიტუაცია, მათთვის ერთგვარი მაგალითი იყო, როგორ განეხორციელებინათ ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი პროცესები. დემოკრატიის მონობა მათთვის უკავშირდება შემდეგს - „მუშებს წაართვას რვა საათის სამუშაო დღე, გლეხებს კი მიწა, რომ ის კვლავ მემამულეებს დაუბრუნოს. ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობის დაცვა ჩვენთვის თავმოყვარეობისა და განყენებულ იდეის საგანს როდი შეადგენს, არამედ ეს არის ჩვენი დემოკრატიის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ამიტომ ჩვენი დემოკრატია მუდამ მზად უნდა იყოს თავის დასაცავად, ის ფხიზლად უნდა იდგეს თავის პოზიციებზე და არავის არ უნდა მისცეს ნება მის შინაურ საქმეებში ჩარევისა (დამოუკიდებლობის დაცვა, 1919). სამოქალაქო ნაციონალიზმის საკითხზე საუბრისას, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ შრომის უფლებების დაცვა, როგორც ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლება, იმ პერიოდის პოლიტიკოსებს მიაჩნიათ დემოკრატიის შემადგენელ ნაწილად და ეს ასეც არის. რეალურად 1918 წლამდე მუშების მთავარი მოთხოვნა სწორედ სამუშაო დღის 8საათამდე შემცირება იყო. ნებისმიერ საზოგადოებას ჭირდება ლიდერი ან ლიდერთა ჯგუფი, რომელიც მოახერხებს მათ გაერთიანებას, მათი აზრისა და დამოკიდებულებების ფორმირებას და რეალურად ყველა დროში პოლიტიკური ელიტა, წარმოადგენს სწორედ

საზოგადოების მობილიზაციის საქმეში მთავარ მოქმედ ფიგურას. სხვა საკითხია როგორ ხდება საზოგადოების აყოლიება და სასურველი იდეების განხორციელებისთვის მათი გამოყენება, მაგრამ ამ ეტაპზე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ ეს ყველაფერი როგორ უკავშირდება სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მცდელობას. საქმე ისაა, რომ 1918-21 წლების მოვლენები, რომლებიც წარმოადგენდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველდღიურ რეალობას, მართული იყო იმ ჯგუფის მიერ, დამფუძნებელი საბჭოს მიერ, რომელიც წარმოადგენდა ძალას, რომლის წევრებიც მოქმედებდნენ ერვოპული ღირებულებებით და ეს ღირებულებები პირველ რიგში ემსახურება სწორედ სამოქალაქო ნაციონალიზმს. მაგალითად ნოე ჟრდანია რომ ავიღოთ, - „მის ადრეულ ნაშრომებში გამოთქმული რწმენა იმის შესახებ, რომ საქართველოს გზა ევროპის გზა იყო, ურყევი აღმოჩნდა. ნოე ჟორდანიას დაუღალავი აგიტაცია-პროპაგანდა საპარლამენტო მონაწილეობაზე, ლეგალურ მუშაობაზე, გლეხობის ჩართვაზე რევოლუციურ ბრძოლაში, პრულარიზმსა და პარტიის შიგნით დეცენტრალიზაციაზე, მხოლოდ ტაქტიკური საკითხები კი არ იყო მისთვის, არამედ კურსი, პოლიტიკა, რომელიც ემყარებოდა სწორედ იმ რწმენას, რომ საქართველოს მომავალი დემოკრატიულ ევროპასთან ერთად არსებობდა (ჯონსი, 2007, 355).

4. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სამართლებრივი დებულებები და კონსტიტუცია

ამ თავში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც ძალიან კარგად ასახავს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ვითარებას და წარმოადგენს პოლიტიკური ლიდერების საერთო აზრს ქვეყნის ფორმისა და მთლიანად მართვა-გამგებლობის შესახებ და თავისთავად მიესადაგება სამოქალქო ნაციონალიზმის პრინციპებსაც. ასევე ვისაუბრებთ იმ მნიშვნელოვან დებულებებსა და სამართლებრივ აქტებზე, რომლებიც ჩვენი აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების მცდელობას. და ბოლო ქვეთავი იქნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც არის ერთგვარი გვირგვინი 1918-1921 წლების პოლიტიკური პროცესების და ჩვენი აზრით, ზუსტად ესადაგება სამოქალაქო ტიპის ნაციონალიზმს.

4.1 საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევს 5 საათსა და 10 წუთზე თბილისში, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ეროვნულ საბჭოს თავჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, რომელმაც წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, საიდანაც ჩვენი საკვლევი თემისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ციტატა - „ახალი სახელმწიფო - საქართველო, რომელიც დღეს არსდება არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. მისი მიზანია - თავი გადაირჩინოს თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში“ (შველიძე, 2013, 11). ამ აქტის მნიშვნელობა განუსაზღვრელია, რადგან წლების შემდეგ სწორედ - 1918 წლის 26 მაისი აქტის საფუძველზე აღდა 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა. „1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“ (ალექსიძე, 2012, 742).

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, აცხადებს: საქართველოს ხალხი ამიერიდან სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს, დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“ (პაპუაშვილი, 2013, 34-36). საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი გარდა ზემოთ მოყვანილი პუნქტებისა, კიდევ შეიცავდა საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ პუნქტს და ასევე კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნების სურვილს განსაკუთრებით მეზობელ ქვეყნებთან. მაგრამ გვინდოდა ძირითადი ყურადღება გაგვემახვილებინა იმ ასპექტებზე, რომლებშიც უშუალოდ ჩანს ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულებები. ის ფაქტი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრების მიერ ჩაიწერა რიგი პუნქტებისა, რომლებიც ეხებოდათ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში უმცირესობების უფლებებს, რომ მათი შეზღუდვა რაიმე ნიშნით არ მოხდება და მათი თავისუფლება იქნება დაცული, ასევე თანასწორობის პრინციპი იქნება უზენაესი, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარების მცდელობას და ასევე ასახავს იმ პერიოდის პოლიტიკური პირების აღქმებს, როგორ ესმით მათ ერი, რომ აუცილებლად სუვერენული ერთეულია, რომელიც ყველა მისი მოქალაქის უფლების დამცველია, განურჩევლად ეროვნებისა და სხვ. კულტურული მახასიათებლებისა (რელიგია, ენა).

1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს იმ პერიოდის საქართველოსთვის, რადგან მაშინდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა და სხვადასხვა პარტიული კუთვნილების ადამიანებმა, ძალიან რთულ ეპოქაში, მოახერხეს და მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მონიშნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. „1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შინაარსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები და წარუმატებლობები განპირობებული იყო მე-20 საუკუნის დამდეგის ქართული ეროვნული მოძრაობის ხასიათით, ქართული საზოგადოების განწყობილებით, პოლიტიკურ ძალთა, პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკურ ლიდერთა მისწრაფებებით“ (გურული, 2008, 3).

4.2 სამართლებრივი აქტები

ამ ქვეთავში გავაერთიანებთ იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს იმას, თუ როგორი იყო დინამიკა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და საით მიდიოდა მსჯელობა. ეს სამრთლებრივი აქტები ამ მსჯელობის ერთგვარი დაბოლოებაა, კონსტიტუციის მიღებამდე არსებული.

1918 წლის 16 ივლისს საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დებულება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა /ქვეშევრდომობისა/. ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე. (მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი

მოქალაქენი არიან აღჭურვილი პოლიტიკური უფლებით (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისთვის და სხვ). 1918 წლის 13 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონი - მიეცეს უფლება საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევის იმ ეროვნულ უმცირესობებს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზედ მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შესდგება - სომხები, თათრები, აფხაზები, რუსები, ოსები, ებრაელები, ბერძნები, ქართველი ისრაელები, გერმანელები. რაც შეეხება საარჩევნო უფლებას - დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის ოცი წელი შეუსრულდათ. კანონი ასევე ეხებოდა მათ ვინც ვერ მიიღებდა არჩევნებში მონაწილეობას, ყველაფერი ეს ეფუძნებოდა კანონის უზენაესობის პრინციპს და მათ ვინც დამნაშავეებად იყვნენ მიჩნეულნი, კანონის მიხედვით, ჩამორთმეული ქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მნიშვნელოვანია ასევე დებულება ქალაქის საბჭოების ხმოსანთა არჩევნების შესახებ - არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შესრულებია ოცი წელი... აფხაზეთის სახალხო საბჭოში წევრების არჩევაზე ცალკე დებულება იყო გამოქვეყნებული 1918 წლის 27 დეკემბერს, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არჩევის უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა აფხაზეთში მაცხოვრებელ ყოველ მოქალაქეს, რომელიც არის უკვე 20 წლის, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა 1914 წლის 19 ივლისამდე. ხოლო მათ ვინც 1914 წლის 19 ივლისის შემდეგ მიიღეს აფხაზეთის ბიდანრობის უფლება შეიძლება არჩეულ იქნებს აფხაზეთის სახალხო საბჭოში. და ბოლოს 1919 წლის 27 მაისს მიღებული კანონი მოქალაქეობის შესახებ - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყველა ის მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე. ასევე ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ

მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის 1 იანვრიდან განუწყვეტლივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში, დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებული იქნება საქართველოს მოქალაქედ მეოთხე მუხლში აღნიშნული წესით (გურგენიძე, შარაშენიძე, 1990, 46-271). ეს კანონი კიდევ ბევრ მუხლს შეიცავს, მაგრამ მთავარი არის ის, რომ მოქალაქეობის შესახებ კანონში არსად არ არის ნათქვამი სიტყვა , რომ საქართველოს მოქალაქეები არიან მხოლოდ ეთნიკურად ქართველები, შესაბამისად იმის თქმა გვსურს, რომ ამ უკანასკნელისა და ყველა ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი აქტის საფუძველზე შესაძლებელი ითქვას, რომ 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერებს ქონდათ ერის სამოქალაქო გაგება და მსჯელობა ამ თემის გარშემო იხრებოდა მაინც უფრო მეტად სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისკენ.

4.3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია წარმოადგენს მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე, სრულყოფილ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ უზენაეს საკანონმდებლო აქტს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამართლებრვი და კონსტიტუციური სივრცე, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ, კონსტიტუციის ავტორებმა მოახერხეს და შექმნეს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც თავისი ინდივიდუალურობითა და თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კონსტიტუციებს შორის (პაპუაშვილი, 2013, 4).

კონსტიტუციის მეორე თავი მოქალაქეობის შესახებ, პირველ მუხლში წერია, რომ საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებითა და ნატურალიზაციით. მესამე თავში - მოქალაქის უფლებების შესახებ, ნათქვამია, მოქალაქენი კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. წოდებრივი განსხვავება არ არსებობს. არ შეიძლება დასჯილი იქნეს ვინმე სხვანაირად, გარდა სასამართლოს წესით, გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინარული წესი, ყოველი მოქალაქე გასამართლებული უნდა იყოს

საერთო წესით. პიროვნება ხელშეუხებელია. ყველა მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს, მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია, როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიკურ და საოჯახო უფლებით. რაც შეეხება ავტონომიურ მმართველობას, მეთერთმეტე თავის 107 -ე მუხლით გაწერილი იყო შემდეგი - საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს - აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს(ბათომის მხარე) და ზაქათალას ოლქი, ენიჭებათ ავტონომიური მმართველობა. და ბოლოს მეთექვსმეტე თავში, სახელმწიფოსა და ეკლესიის შესახებ 142 და 143 მუხლები - სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან, არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა (პაპუაშვილი, 2013, 37-60). შევეცადე მომეყვანა კონსტიტუციიდან ის თავები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ ეხება სამოქალაქო პრინციპებს, თუნდაც უკანასკნელი მათგანი, რომ არც ერთი რელიგია არ არის უპირატესი, მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ყველა ადამიანი თავისუფალია საკუთარ რწმენაში. ასევე მოქალაქეობის თავში რომ არაა ეროვნებაზე მითითება - რათქმაუნდა გულისხმობს, რომ მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა არ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებს. კანონის წინაშე ყველას თანასწორობა და კანონის უზენაესობა, როგორც ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ასევე გაწერილია 1921 წლის კონსტიტუციით და ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ დემოკრატიულობის პრინციპზე დაფუძნებული საქართველოს რესპუბლიკა მისი მმართველი პოლიტიკური ფიგურების მიერ მიემართება სამოქალაქო ნაციონალიზმის პრინციპებისკენ და საზოგადოებაში ერის - როგორც ერთი მთლიანი, სამოქალაქო და არა ეთნიკური ერთობის აღქმას უწყობს ხელს.

5. დასკვნა

ნაშრომის მიზანი 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში ნაციონალიზმის ფორმის შესწავლა იყო. შევეცადეთ გვეჩვენებინა როგორ ესმოდა მაშინდელ პოლიტიკურ ელიტას ერის მნიშვნელობა და როგორ მიქონდათ ის საზოგადოების ფენებამდე, როგორი იყო დინამიკა და რა ფორმით მოხდა ნაციონალიზმის ჩამოყალიბება. დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს ქართული პოლიტიკური ელიტა, როგორც საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მომხდენი მთავარი ძალა. დამოუკიდებელი ცვლადის გასაანალიზებლად შევისწავლეთ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული ნაციონალიზმი და მისი გაძლიერების პერიოდი, მისი გამოხატულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქეისებად განვიხილეთ 1860-იანი წლების ნაციონალიზმი, რომელმაც გამოხატულება პოვა მე-19 საუკუნის დასაწყისში, ასევე საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება და უმცირესობებისადმი განხორციელებული პოლიტიკა, დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამოქალაქო ნაციონალიზმის შერწყმა, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია.

შევეცადეთ წარმოგვედგინა ის ძირითადი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც 1918 წლის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენდნენ და არ შემოვფარგლულიყავით კვლევისას უმრავლესობაში მოსული პარტიით - სოციალ-დემოკრატებით, რათა მოგვეხდინა კვლევის ობიექტურობისთვის ხელშეწყობა. ნაშრომში ასევე წარმოავდგინეთ სხვადასხვა ავტორების მოსაზრებები და ანალიზი, რაც უფრო ამდიდრებსა და საინტერესოს ხდის კვლევას. ამ ნაშრომების, პოლიტიკური ლიდერების გამოსვლების, სტატიებისა და სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლიტიკურ ლიდერებს, როგორც საზოგადოებაზე ზემოქმედების მომხდენ ძირითად

ძალას, ერი ესმოდათ, როგორც სამოქალაქო ერთობა და იმ პერიოდის ნაციონალიზმი განვითარდა სამოქალაქო ნაციონალიზმის მიმართულებით, რომლის პრინციპების დაცვასაც და საზოგადოებაში გავრცელებასაც ცდილობდნენ იმ დროის პოლიტიკური ელიტის წევრები.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი მიმდინარეობა - პოლიტიკური ტრანსფორმაცია და მისი ავტორი, ჯონ ბროილი, რომელიც თვლის რომ ნაციონალიზმი არის პოლიტიკის ფორმა. აღნიშნული თეორიის მიხედვით ნაციონალიზმი არის ერის პოლიტიკური და კულტურული ერთობის გაერთიანება. პოლიტიკური ტრანსფორმაციის თეორიის გაანალიზების შედეგად, გამოიკვეთა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალიზმი თავის თავში აერთიანებდა ერის როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ერთობას.

საბოლოოდ ჩვენმა კვლევამ დაადგინა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, მრავალეთნიკურ ქვეყანაში საჭიროებს სწორი პოლიტიკის წარმართვას, კანონის უზენაესობის დაცვასა და ყველა მოქალაქის, განურჩევლად ეთნიკური მიკუთვნებულობისა, რელიგიური შეხედულებებისა და სხვა კულტურული მახასიათებლებისა, უფლებების დაცვასა და თანასწორობის პრინციპის შენარჩუნებას. ეს კი თავისთავად გულისხმობს სამოქალაქო ნაციონალიზმის რიგი საფუძვლების დანერგვას სახელმწიფოს მართვის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ლევან, (2012). *საერთაშორისო სამართალი და საქართველო, ანტიკური ხანიდან დღემდე, I (ისტორია, კონცეფცია, პოლემიკა).* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. ბენდიანიშვილი ალექსანდრე, (2001). *საქართველოს პირველი რესპუბლიკა, 1918-1921 წწ.)* თბილისი, „მემატიანე“
3. გურული ვახტანგ, (1999). *ნოე ჟორდანია პოლიტიკური პორტრეტი,* 1869-1953, თბილისი, „ინტელექტი“
4. გურული ვახტანგ, (2008). *ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია,* თბილისი, „უნივერსალი“
5. გურგენიძე ე., შარაშენიძე ვ., (1990). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921,* თბილისი, კოოპერატიული გამომცემლობა „ივერთა მხარე“
6. დავითაშვილი ზურაბ, (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია,* თბილისი, „მეცნიერება“.
7. ვადაჭკორია შოთა, (2001). *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში,* თბილისი, „მეცნიერება“
8. ვადაჭკორია შოთა, (2008). *ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ნაკვეთი I, (1917-1918წწ.),* თბილისი, „სტამბა გრიფონი“.
9. თადიაშვილი თ., (2009). *საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წლები,* Retrieved from https://polittheory.wordpress.com ნანახია: 6 ივლისი (2017)
10. კალანდაძე როლანდ, (2000). *დემოკრატია, როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია,* თბილისი, „მეცნიერება“
11. კაჭარავა ანდრო, დაუშვილი ალექსანდრე, (2012). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის,* თბილისი-ატლანტა, „სი-ჯი-ეს“
12. მაცაბერიძე მალხაზ, (2015). *ვილფრედო პარეტოს „ელიტების წრებრუნვის“ თეორია,* თბილისი, Retrieved from

http://www.politscience.info/Filemanager/files/bakalavriati/skolebi%20da%20konc/Pareto-2015%20(1).pdf ნანახია: 6 ივლისი (2017)

13. მაცაბერიძე მალხაზ, (2011). *კონსტიტუციის საკითხების განხილვა საქართველოს ეროვნულ საბჭოში,* თბილისი.
14. მაცაბერიძე, ჩხაიძე, ხინჩაგაშვილი, (2008). *ნაციონალიზმი - ძირითადი ცნებები,* თბილისი.
15. ნოზაძე ვიქტორ, (2013). *დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო - საქართველო,* თბილისი, პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტი
16. პაპუაშვილი გიორგი, (2013). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია,* ბათუმი, „ფავორიტი პრინტი“
17. ჟორდანია ნოე, (1953). *ჩემი წარსული (მოგონებანი),* პარიჟი,
18. რამიშვილი აკაკი, *ჩვენი შეცდომები 1918-1921,* ქართულ-ინგლისური ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ასოციაცია
19. სილაგაძე აპოლონ, გურული ვახტანგ, (2000). *საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918),* თბილისი, რედაქტორი - მერაბ ვაჩნაძე
20. სლეზკინი იური, (1994). *საბჭოთა კავშირი როგორც კომუნალური ბინა, ანუ როგორ ახალისებდა საბჭოთა კავშირი ეთნიკურ განსაკუთრებულობას.* ჟურნ. Slavic Review, ტომი 53, ნომერი 2
21. ურუშაძე ლევან, (1991). *აწმყო, შობილი წარსულისაგან...* თბილისი, გაზეთ „ქრისტიან-დემოკრატი“-ს ბიბლიოთეკა.
22. შველიძე დიმიტრი, *პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი I, ფედერალისტები,* (1993). თბილისი, გამომცემლობა „არსი“
23. ავტორ-შემდგენელთა ჯგუფი, რედაქტორი დიმიტრი შველიძე, (2013). *დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921),* თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

24. ჯავახიშვილი ივ., ისტორიის სახელმძღვანელო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა,* ისტორია Retrieved from http://www.bu.org.ge/x2254?lang=geo ნანახია: 6 ივლისი (2017)
25. ჯანელიძე ოთარ, (2008). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება,* თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
26. ჯონსი ს. ფ., (2007). *სოციალიზმი ქართულ ფერებში,* თბილისი, ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა
27. *საქართველოს პირველი რესპუბლიკა,* საქართველოს ეროვნული არქივის მასალები. Retrieved from: **http://www.archives.gov.ge/uploads/other/2/2784.pdf** ნანახია: 6 ივლისი (2017)
28. *საქართველოს კონსტიტუცია-1921* Retrieved from: http://constcommission.parliament.ge/1921 ნანახია: 6 ივლისი (2017)
29. ეთნიკური ნაციონალიზმი, Retrieved from: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3908 ნანახია: 6 ივლისი (2017)
30. *„სოციალ-დემოკრატის“ ჯგუფის ფერისცვალება,* (1919). 2 აპრილი, *ერთობა*, #74, 2.
31. *პარტიული მუშაობა,* (1919). 3 აპრილი, *ერთობა,* #75, 2.
32. *ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა,* (1919). 5 აპრილი, #77, 2.
33. *დამფუძნებელი კრება,* (1919). 13 აპრილი, #83, 1-2.
34. *დამოუკიდებლობის დაცვა,* (1919). 9 მაისი, #100, 2.
35. *ისევ ჩვენ და სომხები,* (1919). 15 ივლისი, #155, 1-2.
36. Rogers Brubaker, (2002). *Ethnicity withouts groups,* University of California (Los Angeles)
37. Anthony D. Smith, (1991). *National Identity,* University of Nevada Press, Retrieved from https://books.google.ge/books?id=bEAJbHBlXR8C&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false ნანახია: 6 ივლისი (2017)

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ketevan Gotsiridze

The Attempt to Form Civic Nationalism in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921

Nationalism and Ethnicity Studies

Master's thesis done to obtain a Master's Degree in Nationalism and Ethnicity Studies

Supervisor: Ivane Tsereteli, Associated Professor, Institute of Cultural Studies

Tbilisi 2017